

# უნივერსიტეტი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი №2-3 (21-22) 2013




## პირველი უნივერსიტეტი – 95 წლის შემდეგ

2013 წელი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის განსაკუთრებული წელია – 95 წელი დაარსებიდან და სულ 5 წელი 100 წლიან იუბილემდე.

ალბათ ძალიან ცოტა ადამიანი მოიძებნება საქართველოში, ვინც არ იცის პირველი უნივერსიტეტის დაარსების ისტორია. მაგალითად ის, რომ უნივერსიტეტი და პირველი ქართული დამოუკიდებელი რესპუბლიკა ერთ წელს – 1918-ში დაიბადნენ. ეს სულაც არ იყო შემთხვევითი ამბავი. საკუთარ, ქართულ განათლების ტაძარსა და ეროვნულ თვითმყობადობას შორის ტოლობის ნიშანი კარგა ხნის დასმული იყო ქართველი საზოგადო მოღვაწეების მიერ. შემთხვევითი არც ის იყო, რომ დამოუკიდებლობის გამოცხადებას საქართველოში წინ სწორედ უნივერსიტეტის გახსნა უსწრებდა.

იდეამ, რომელიც მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდან საქართველოში ჯერ ჩუმად, მერე კი უკვე აშკარად ისმოდა, ხორცშესხმა მეოცე საუკუნის დასაწყისში ჰპოვა. რუსეთში განვითარებულმა მოვლენებმა და რევოლუციამ, რომელიც საქართველოსთვის თავისუფლების მოახლოების ნიშანიც გახლდათ, უნივერსიტეტის დამფუძნებლებს ახალი სტიმული მისცა.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის პირველი დღეებიდანვე პეტერბურგში მყოფმა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღზრდილმა და პრივატ-დოცენტმა ივანე ჯავახიშვილმა აქტიურად დაიწყო უმაღლესი სასწავლებლის გახსნისათვის მზადება და გაზაფხულზე უკვე სამ-

*გაგრძელება მე-3 გვ.*

## კარსტული მღვიმე – „თსუ 95“

***95 წლის იუბილესთან დაკავშირებით გეოგრაფებმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს საგანგებო საჩუქარი გაუკეთეს: 1 თებერვალს ჭიათურაში, ყვირილას ხეობაში აღმჩენილ კარსტულ მღვიმეს „თსუ 95“ დაარქვეს. ბოლო ათწლეულის განმავლობაში ეს მღვიმის აღმოჩენის პირველი ფაქტია.***

მღვიმის აღმოჩენას თსუ ასისტენტ-პროფესორი გიორგი დვალაშვილი ხელმძღვანელობდა. მასთან ერთად სამეცნიერო ექსპედიციაში თსუ ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის მეცნიერები და სტუდენტები მონაწილეობენ. როგორც ამ ეტაპზე ვარაუდობენ, მღვიმე არა მარტო გეოგრაფებისა და გეოლოგებისთვის, არამედ არქეოლოგებისთვისაც იქნება საინტერესო. თსუ არქეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის, პროფესორ ვახტანგ ლიჩელის განმარტებით, „თსუ-95“ ქვის ხანის განვითარების ბოლოდროინდელ პერიოდს განეკუთვნება. ჭიათურაში, ყვირილას ხეობის ტერიტორიაზე მდებარე კასრტული მღვიმეები, იმდენად თავისებურია, რომ მათი მეშვეობით იმერეთული კულტურის შესახებ შეიძლება მსჯელობა.” არა ერთი არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი კიდევ უფრო კონკრეტული დასკვნების გაკეთებას აპრილისთვის, ტერიტორიის შესწავლის შემდეგ გეგმავს.

შემდგომი სამუშაოების ჩასატარებლად, გეოგრაფების, გეოლოგების და არქეოლოგების ერთობლივი ექსპედიციაა დაგეგმილი. ბუნებრივია, რომ მასში აქტიურად იქნებიან ჩართული სხვადასხვა კურსის სტუდენტები. სამუშაო რომ მართლაც ბევრია ეს თსუ ასისტენტ-პროფესორმა, გეოგრაფიის დოქტორმა გიორგი დვალაშვილმა უკვე იცის. “იმ ხუთ დღეში, რაც ახლად ამოჩენილი მღვიმის შესახებ სატელევიზიო სიუჟეტიც გავიდა, მისი დათვალიერების ძალიან ბევრი მსურველი აღმოჩნდა. გაჩნდა მღვიმის დაბინძურების და ნალვენთი ფორმების დაზიანიების საშიშროება, ასევე იმის საფრთხე, რომ ვითარება შეიძლებოდა უმართავი გამხდარიყო. საბედნიეროდ ამ დროისთვის ადგილობრივი ხელისუფლების მეშვეობით მღვიმე უკვე დაცულია. მას კარი აქვს შებმული და მასში ასე ადვილად ველარავინ ჩავა. ამ დროისთვის ჩვენ ვიცით, რომ მღვიმე “ექვსსართულიანია”. თუმცა, იგი ბევრად ღრმა უნდა იყოს. ყველაფერი კიდევ უფრო მას შემდეგ დაზუსტდება, რაც ერთობლივი ძალებით ქვემოთ





*გაგრძელება მე-7 გვ.*

## ევროპული განათლება თსუ სტუდენტებისთვის

***ყოველწლიურად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტებისთვის აცხადებს კონკურსს გაცვლითი პროგრამით სხვადასხვა პრესტიჟულ უმაღლეს სასწავლებელში მოსახვედრად. გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, პარტნიორი უნივერსიტეტები მიწვეულ სტუდენტს საცხოვრებლით და სტიპენდიით უზრუნველყოფენ. თსუ პარტნიორ უნივერსიტეტებში სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს სწავლება ინგლიურენოვანი პროგრამის გარდა, გერმანულ, ფრანგულ და იტალიურენოვანი პროგრამებით შეუძლიათ გაიარონ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და მსოფლიოს მრავალ წამყვან უნივერსიტეტებს შორის გაცვლით პროგრამებზე ხელშეკრულება პირველად 2006 წელს გაფორმდა.***



გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად სტუდენტს ენის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატი ესაჭიროება. ამგვარის არქონის შემთხვევაში, იგი, ევროსაბჭოს და ევროკავშირის მიერ განსაზღრული სტანდარტით ენის ტესტს აბარებს. ენის ტესტის ჩაბარების შემდეგ სტუდენტი თსუ-ს, უცხო ქვეყნის საკონსულობის წარმომადგენლებითა და ექსპერტებით დაკომპლექტებულ შესარჩევ კომისიასთან გადის გასაუბრებას. ენის ცოდნის დემონსტრირების პარალელურად მან იმის დასაბუთებაც უნდა შეძლოს, თუ რა გახდა ამა თუ იმ უნივერსიტეტში წასვლის სურვილის მოტივი და თუ როგორ გამოიყენებს უცხოეთში მიღებულ ცოდნას მომავალში.

2012 წლისათვის გაცვლითი პროგრამით განსაზღვრული ქვოტებით, ტარტუს უნივერსიტეტში (ესტონეთი) – 6 ბაკალავრი; ლატვიის უნივერსიტეტში – 3 მაგისტრი; ვილნიუსის უნივერ-

*გაგრძელება მე-2 გვ.*

## თსუ სამეცნიერო პროექტები

***2012 წლის სამეცნიერო კონკურსებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ლიდერი უნივერსიტეტია საქართველოს სხვა უმაღლეს სასწავლებლებთან შორის. დღეს თსუ-ში 200-მდე სამეცნიერო პროექტი ხორციელდება. ეს კი უნივერსიტეტში მოხვედრილ სტუდენტს შანსს აძლევს, სწავლასთან ერთად, ჩაერთოს მისთვის სასურველ კვლევით პროექტში და მიიღოს შესაბამისი გამოცდილება.***

სამეცნიერო პროექტების განხორციელების თვალსაზრისით უნივერსიტეტის ლიდერ პოზიციაზე საუბრისას სტატისტიკა ყველაზე მეტყველი არგუმენტი გახლავთ. თსუ სამეცნიერო კვლევების და განვითარების დაპარტამენტი ყოველწლიურად აკეთებს კვლევითი აქტივობების სტატისტიკას, სადაც ასახულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გამოცხადებულ სხვადასხვა საგრანტო კონკურსებში თსუ-ის და საქართველოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებათა მიერ მიღწეული შედეგები.

*გაგრძელება მე-3 გვ.*





## 95

იაჰე ჩვენთან ერთად

## რექტორის სვეტი



სულ რამდენიმე დღეში 2013 წლის აბიტურიენტებს მათ ცხოვრებაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილების მიღება მოუწევთ – მათ უნდა აირჩიონ მომავალი პროფესია და უმაღლესი სასწავლებელი, რომელშიც ცოდნას მიიღებენ და სტუდენტობას, ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო ხანას ადამიანის ცხოვრებაში, გაატარებენ. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი კი 2013 წელს სტუდენტთა 95-ე თაობას მიიღებს.

გვ. 2

## „მე-უნივერსიტეტი“

თსუ 95 წლის იუბილესთან დაკავშირებით უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ინიციატივით დაიწყო პროექტის – “მე უნივერსიტეტი” განხორციელება. პროექტის ფარგლებში ფოტოხელოვანი მინდია მიდელაშვილი ცნობილ უნივერსიტეტელებს ფოტოზე აღბეჭდავს. ფოტოპროექტის პირველი მონაწილეები კი მკითხველისთვის ორიოდე სიტყვით იხსენებენ იმას, თუ რა არის მათთვის უნივერსიტეტი.

გვ. 3

## კულტურა და სპორტი უნივერსიტეტში





გვ. 8

## აბიტურიენტთა მეგზური

ინფორმაცია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტების სიახლეებისა და აბიტურიენტთათვის არსებული შესაძლებლობების შესახებ.

გვ. 4-7

# რექტორის სვეტი



სულ რამდენიმე დღეში 2013 წლის აბიტურიენტებს მათ ცხოვრებაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილების მიღება მოუწევთ – მათ უნდა აირჩიონ მომავალი პროფესია და უმაღლესი სასწავლებელი, რომელშიც ცოდნას მიიღებენ და სტუდენტობას, ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო ხანას ადამიანის ცხოვრებაში, გაატარებენ.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი კი 2013 წელს სტუდენტთა 95-ე თაობას მიიღებს.

დაარსებიდან 95 წლის თავზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 6 ფაკულტეტია და 22 000-მდე სტუდენტი სწავლობს. თსუ რჩება საუკეთესო სახელმწიფო უნივერსიტეტად, რომელზეც არჩევანს საქართველოში ყველაზე მეტი და ყველაზე რეიტინგული აბიტურიენტი აკეთებს.

უნივერსიტეტში და მის ინსტიტუტებში დღეს მთლიანად საქართველოში მიმდინარე კვლევების 40 პროცენტამდე ხორციელდება.

აქ სტუდენტს, რომელიც მეცნიერებას მიყვება, აქვს საშუალება თავიდანვე გახდეს დიდი სამეცნიერო ქსელის ნაწილი. ამას ხელს უწყობს ტრადიციაც – 95 წლის მანძილზე თსუ-ში საფუძველი ჩაეყარა ჰუმანიტარულ, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა (მათემატიკის, ფიზიკის, ბიოლოგიის და სხვა) დიდ სკოლებს. უნივერსიტეტს აქვს უზარმაზარი სამეცნიერო ბაზებიც. მას შემდეგ, რაც თსუ გაერთიანდა 16 სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტთან, ეს ბაზა კიდევ უფრო გაიზარდა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დღეს არის ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემა. ამასთან, ყველა კორპუსში ყველა მიმართულების ფაკულტეტს აქვს საკუთარი წიგნობრივი ფონდი, რომელიც ერთიან სივრცეშია გაერთიანებული. ვმუშაობთ, რომ უნივერსიტეტი ჩაერთოს მსოფლიო საბიბლიოთეკო ქსელში. ვცდილობთ მაქსიმალურად გამოვიყენოთ ონლაინ ტექნოლოგიები. მალე დავამთავრებთ მოლაპარაკებას ტომპსონის ბაზასთან, რომელსაც ყველაზე ძლიერი სამეცნიერო რესურსი აქვს და ამ რესურს შევისყიდით.

დღეისთვის უნივერსიტეტს 300-მდე მემორანდუმი აქვს გაფორმებული უცხოეთის სხვადასხვა უნივერსიტეტთან, აქედან დაახლოებით 100-მდე აქტიურ ფაზაშია და მუშაობს. მარტო გერმანიაში თსუ ურთიერთობა აქვს 44 უნივერსიტეტთან – აქვს როგორც სტუდენტების, ასევე პროფესურის გაცვლითი პროგრამები, საერთო სამაგისტრო პროგრამები.

უნივერსიტეტების გარდა, თსუ თანამშრომლობს ძლიერ სამეცნიერო ცენტრებთან – „ცერნთან", „ატლასის" პროექტებთან, ასევე ექსპერტული ფიზიკის ცენტრთან – იულიხის ცენტრთან გერმანიაში.

2013 წელს იგეგმება საუნივერსიტეტო სამაგისტრო სკოლის (Graduate School) გახსნა, რომელიც კოორდინირებას გაუწევს სამაგისტრო პროგრამებს და დაეხმარება სტუდენტს შესაბამისი არჩევანის გაკეთებაში.

სტუდენტებისთვის პრაქტიკის გავლისა და დასაქმების გასაიოლებლად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ბოლო წლების განმავლობაში ხელი მოაწერა მემორანდუმს უამრავ, როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო და არასამთავრობო სტრუქტურებთან, რომლებიც დაინტერესებული არიან სტუდენტების და მაგისტრანტების დასაქმებით და მათთვის პრაქტიკული გამოცდილების გაზიარებით.

ამას გარდა, თსუ დღესაც რჩება სტუდენტური და ახალგაზრდული პოლიტიკური თუ კულტურული ცხოვრების ცენტრად საქართველოში.

ამიტომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტზე გაკეთებული არჩევანი, ეს მხოლოდ პროფესიის არჩევანი არ არის – ეს არის არჩევანი ცხოვრებისა და აზროვნების საუნივერსიტეტო სტილზე, განათლებაზე, ტრადიციაზე, მომავალზე, განვითარებაზე. "უნივერსიტეტის" დღევანდელ ნომერში მხოლოდ მცირე ინფორმაციას მოგაწოდებთ იმის შესახებ, რამაც, ჩვენის აზრით, არჩევანი უნდა გაგიადვილოთ.

პირველი უნივერსიტეტი კი კვლავ ელოდება პირველებს – ყველაზე ნიჭიერებს, ყველაზე რეიტინგულებს, ყველაზე მოტივირებულებს, ყველაზე მხიარულებს, ყველაზე სპორტულებს, ყველაზე წარმატებულებს, მათ, ვინც გადაწყვეტს, რომ სურს "იაროს ჩვენთან ერთად".

**ალექსანდრე კვიტაშვილი**
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი

# თსუ სამეცნიერო პროექტები

*პირველი გვერდიდან*

თსუ სამეცნიერო კვლევების და განვითარების დეპარტამენტის ინფორმაციით, წარმატებული იყო თსუ-თვის 2012 წელიც, როცა უნივერსიტეტი მონაწილეობას იღებდა, როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო კონკურსებში.

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2012 წლის სამეცნიერო კონკურსების დღეისთვის ცნობილი შედეგები ასე გამოიყურება:

ფუნდამენტური/გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2012 წლის კონკურსებში სულ წარდგენილი იყო 814 პროექტი, აქედან თსუ-ს შეტანილი ჰქონდა 277 პროექტი, ანუ, საერთო რაოდენობის 34%. კონკურსის შედეგები ამ ეტაპისთვის ცნობილი არაა, მაგრამ წინა კონკურსების შედეგებიდან გამომდინარე დიდი იმედი გვაქვს თსუ-ს უდავო წარმატების.

„უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის" სახელმწიფო გრანტების კონკურსში სულ შეტანილი 35 პროექტიდან დაფინანსდა 23 პროექტი. ამ კონკურსში თსუ-დან წარდგენილი იყო 17 პროექტი და დაფინანსდა 11.

უნივერსიტეტების მიხედვით ეს შედეგები ასე ნაწილდება: თსუ – 48% ; ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი – 22%; დანარჩენები ერთად – 30%.

„ახალგაზრდა მეცნიერთა უცხოეთში სამეცნიერო-კვლევითი სტაჟირებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების" კონკურსში საგრანტო განაცხადის წარდგენა ყველა იმ ახალგაზრდა მეცნიერს შეუძლია, რომელიც არის საქართველოს მოქალაქე და აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს: კარგად ფლობს ინგლისურ ან იმ ქვეყნის სახელმწიფო ენას, სადაც ახალგაზრდა მეცნიერი გეგმავს სტაჟირების გავლას, არის დამამთავრებელი კურსის დოქტორანტი ან აქვს დოქტორის აკადემიური (მასთან გათანაბრებული) სამეცნიერო ხარისხი, ამასთან, ასაკი არ აღემატება 40 წელს. ამ კონკურსში 2012 წელს სულ წარდგენილი იყო 37 განაცხადი, საიდანაც დაფინანსდა 33 პროექტი. თსუ- დან წარდგენილი პროექტებიდან გაიმარჯვა 17-მა პროექტმა, ანუ სრული რაოდენობის 52 %-მა. სხვათა შორის, 2011 წელთან შედარებით, შარშან ეს მონაცემი თითქმის ორჯერ გაიზარდა, წინა წელს თსუ-ს მხოლოდ 8 პროექტი დაფინანსდა.

რაც შეეხება ახალგაზრდა მეცნიერებისთვის პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტების კონკურსს, სადაც მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებს: მაგისტრს, დოქტორანტს, დოქტორს და მათთან გათანაბრებულ პირებს, რომლებიც ეწევიან სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას (ასაკი არ უნდა აღემატებოდეს 35 წელს), სულ წარდგენილი იყო 107 განაცხადი, საიდანაც დაფინანსდა 77 პროექტი – 36- დოქტორის და 41 დოქტორანტის, საიდანაც 29 გამარჯვებული პროექტი თსუ-ს ანგარიშზეა; მათ შორის 10 – დოქტორის, 19 – დოქტორანტის.




2012 წლის საკონფერენციო გრანტების კონკურსის შედეგები კი ასეთია, სულ წარდგენილი იყო 58 განაცხადი, თსუ-დან 12 (21%). დაფინანსებული 15 პროექტიდან კი 4 თსუ-ს ეკუთვნის.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს მნიშვნელოვანი წარმატებები აქვს ერთობლივ საგრანტო კონკურსებშიც. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის იულიხის კვლევითი ცენტრის – Forschungszentrum Jülich (JÜLICH) ერთობლივი კვლევით-საგანმანათლებლო პროგრამის კონკურსში დაფინანსებული 5 პროექტიდან 3 თსუ-ს პროექტია. აშშ-ის სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდის (CRDF-Global), შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდის (სსგფ) ერთობლივ კონკურსში „მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სამეწარმეო პროგრამის (STEP) – იდეიდან ბაზრისკენ სულ დაფინანსდა 4 პროექტი – თსუ-დან 1.

უკრაინის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ცენტრისა და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ „მიზნობრივი კვლევისა და განვითარების პროგრამის" ფარგლებში ორგანიზებული მეხუთე ერთობლივ (STCU-SRNSF) კონკურსში კი სულ წარდგენილი იყო 25 განაცხადი, თსუ -დან 9 (საერთო ნაკადის 36%). დაფინანსებული 11 პროექტიდან 5 თსუ-სია ანუ საერთო ნაკადის 45%.

ამ კონკურსის შედეგების განაწილება უნივერსიტეტების მიხედვით:

თსუ – 5 პროექტი; სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი – 2 პროექტი;

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი – 2 პროექტი; სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების სამეცნიერო კვლევითი ცენტრი – 1 პროექტი;

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი – 1 პროექტი.

შესაბამისად, დღეს უნივერსიტეტში მიმდინარე კვლევითი პროექტების ყველაზე დიდი ხვედრითი წილი სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდის მიერ გამოცხადებულ კონკურსებზე მოდის.

როგორც თსუ სამეცნიერო კვლევების და განვითარების დაპარტამენტში აცხადებენ, უნივერსიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს კვლევებს მოსწავლეთა მონაწილეობით. ამ მიმართულებით სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსში სულ დაფინანსებული 12 პროექტიდან, 2 თსუ-ს ეკუთვნის, მაშინ როცა თსუ -დან შეტანილი იყო მხოლოდ 4 პროექტი.

სამეცნიერო პროექტებში ახალგაზრდების ჩართულობის საუკეთესო მაჩვენებელია მათი რაოდენობა, რომლის გაზრდაშიც მნიშვნელოვანი წვლილი აქვს არა მარტო უნივერსიტეტში მოღვაწე სამეცნიერო ჯგუფებს, არამედ უდავოდ დიდია ამ საქმეში ფონდის მიერ ახალგაზრდა მეცნიერთა რაოდენობის გათვალისწინებით პროექტის ქულობრივი შეფასების წვლილიც.

თსუ სამეცნიერო კვლევების და განვითარების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის ცისანა გავაშელის თქმით, სამეცნიერო პროექტებში ჩართულობა და მეტი საგრანტო პროექტის მიღება თსუ-ის პრიორიტეტია, რაც კიდევ ერთხელ დასტურდება თსუ-ს მიერ მიღებული პროექტების რაოდენობით.

# ევროპული განათლება თსუ სტუდენტებისთვის

*პირველი გვერდიდან*

სიტეტში (ლიტვა) – 3 მაგისტრი, ვიადრინას ევროპულ უნივერსიტეტში (გერმანია) – სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა, ეკონომიკისა და ბიზნესის და იურიდიულ ფაკულტეტებზე; ვიტაუტას მაგნუს უნივერსიტეტში (ლიტვა) – 4 ბაკალავრი გაიგზავნა; ჰელსინკის უნივერსიტეტში (ფინეთი) 2 მაგისტრანტი. ლეიდენის უნივერსიტეტში (ჰოლანდია) – 1 სტუდენტი. ოსტფორდის (ნორვეგია) საუნივერსიტეტო კოლეჯში 4 ბაკალავრი. 3 სტუდენტი გაემგზავრა ბრატისლავის (სლოვაკეთი) უნივერსიტეტის საზაფხულო სკოლაში.

2012 წლის გაცვლითი პროგრამით გერმანიაში, ზაარლანდის უნივერსიტეტში 6 ბაკალავრი, 3 პროფესორი და 3 დოქტორანტი გაემგზავრა. ფრიდრიხ შილერის სახელობის უნივერსიტეტში – 2 სტუდენტი; გისენის იუსტუს–ლიბეგის უნივერსტეტში 1 ბაკალავრი.

სალერნოს უნივერსიტეტში გაცვლითი პროგრამის ფარგლებში 2012–2013 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისთვის თსუ-ს შვიდი სტუდენტი მიიღებს მონაწილეობას. 4 ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის და ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტიდან შერჩეულია ასევე ორი რეზერვი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან.

გაცვლითი პროგრამების გარდა თსუ სტუდენტებს საზღვარგარეთ განათლების მიღება სხვადასხვა ფაკულტეტებეზე არსებული ორმაგი სამაგისტრო პორგრამების მეშვეობითაც შეუძლიათ. კერძოდ, უკვე მეორე წელია, რაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტსა და ფრიდრიხ შილერის იენის (გერმანია) უნივერსიტეტს შორის ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა ხორციელდება. პროგრამის "საერთაშორისო საწარმოთა მართვა" (Managing International Enterprises) კურსდამთავრებულს მაგისტრის ერთდროულად ორმაგი ხარისხი ენიჭება. იენის უნივერსიტეტის მხრიდან მეცნიერებათა, ხოლო თსუ მხრიდან ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხი. კურსი ორ აკადემიურ წელს მოიცავს. ერთი წლის განმავლობაში სტუდენტები სწავლებას თსუ-ში გადიან, სადაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და იენიდან მოწვეული პროფესორების შერეული ჯგუფი უტარებთ სწავლებას. მეორე წელს სწავლა იენაში მიმდინარეობს. თუ პირველ წელს სწავლა მაგისტრანტებისთვის გერმანულთან ერთად ნაწილობრივ ინგლისურადაც არის შესაძლებელი, იენაში იგი გერმანულ ენაზეა. დღეს ამ პროგრამით - ფაკულტეტს უკვე 22 აქტიური მაგისტრანტი ჰყავს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და კიოლნის უნივერსიტეტს (გერმანია) შორის 2007 წლიდან ხორციელდება საერთო სამაგისტრო პროგრამა. უნივერსიტეტების იურიდიულ ფაკულტეტებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ქართველ კურსდამთავრებულებს, ორსემესტრიანი სწავლების შედეგად, სამაგისტრო ნაშრომის და გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემდგომ, Master of Laws" (LL. M.)-ის აკადემიურ ხარისხი ენიჭებათ. სტუდენტებს, რომლებიც ჩაირიცხებიან კიოლნის სამაგისტრო პროგრამაში და თსუ-ს ქართულ სამაგისტრო პროგრამაში, სურვილისამებრ შეუძლიათ გაიარონ მხოლოდ ერთი სამაგისტრო პროგრამა, რომლის კრედიტებიც მეორე პროგრამის ფარგლებში იქნება აღიარებული. ამდენად, სწავლის დამთავრების შემდგომ ამ სტუდენტებს ერთდროულად ქართული მაგისტრატურისა და კიოლნის უნივერსიტეტის დიპლომი ექნებათ. 2012 წელს სამაგისტრო პორგრამაზე თსუ-დან 12 სტუდენტი ჩაირიცხა.

ქ. შპაიერის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტი საერთო სამაგისტრო პროგრამა „საჯარო მმართველობა" ხორციელდება ასევე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და გერმანიის ქ. შპაიერის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტს შორის. მაგისტრატურის პროგრამული მიმართულება სამართალი და ეკონომიკაა. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: ადმინისტრაციულ მეცნიერებათა მაგისტრი (Master of Administrative Sciences). სამაგისტრო პროგრამის მიზანი მომავალი საჯარო მოხელეების მომზადებაა. პროგრამაზე სამართლის, ეკონომიკის, ისტორიისა და სოციოლოგიის მიმართულებების კურსდამთავრებულები მიიღებიან. წელს ერთი თვის განმავლობაში 12 ქართველი სტუდენტები ინტენსიურ პრაქტიკას გერმანიაში სხვადასხვა სოლიდურ ორგანიზაციაში გადიან.

გარდა უკვე ჩამოთვლილისა, სახელმწიფო უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ევროკომისიის პროგრამა ERASMUS MUNDUS-ს გაცვლით პროგრამებზეც, რომლითაც დღემდე უცხოეთში უკვე 50-მდე სტუდენტი გაემგზავრა. 2013 წლიდან ეს გაცვლითი პროგრამები 4 ახალი პროექტის ფარგლებში განახლდება ყველა საფეხურის სტუდენტების, ახალგაზრდა მკვლევარებისა და უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისთვის.

# პირველი უნივერსიტეტი – 95 წლის შემდეგ

***პირველი გვერდიდან***

შობლოში დაბრუნდა, რათა ხორცი შეესხა თავისი ოცნებისათვის.

12 მაისს თბილისში, პეტრე მელიქიშვილის ბინაში, უნივერსიტეტის საზოგადოების დამფუძნებელთა პირველი შეკრება გაიმართა. კრებას ექვთიმე თაყაიშვილი ხელმძღვანელობდა. ამ დღეს დაარსდა “ქართული თავისუფალი უნივერსიტეტის” საზოგადოება, რომელმაც დიდი როლი ითამაშა უნივერსიტეტის დაარსების საქმეში.

1917 წლის შემოდგომაზე უნივერსიტეტის დამფუძნებელთა მუშაობა უმაღლესი სასწავლებლის გასახსნელად კიდევ უფრო ფართოდ გაიშალა. გადაწყდა, რომ თავდაპირველად დაარსებულიყო მხოლოდ ერთი – სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი, რომელიც გააერთიანებდა ჰუმანიტარულ დარგებს, აგრეთვე, ბუნებისმეტყველებასა და მათემატიკას. დეკემბრის ბოლოს პრესაში უკვე გაჩნდა განცხადება ქართულ უნივერსიტეტში სტუდენტების მიღების შესახებ.









1918 წლის 26 იანვარს (ახალი სტილით, 8 თებერვალს), დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს, თბილისის გარეუბანში, ქართული სათავადაზნაურო გიმნაზიის შენობაში, საზეიმოდ გაიხსნა კავკასიაში პირველი ეროვნული უნივერსიტეტი.

სტუმრების მიღება და დღესასწაულის ხელმძღვანელობა ილია ჭავჭავაძის დისწულმა, ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ კოტე აფხაზმა იტვირთა.

უნივერსიტეტი აკურთხა და მომავლის გზა დაულოცა სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქმა კირიონ მეორემ. უნივერსიტეტის პირველ რექტორად, ივანე ჯავახიშვილის წინადადებით, პროფესორთა საბჭომ პეტრე მელიქიშვილი აირჩია. თავად ივანე ჯავახიშვილი სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტს ჩაუდგა სათავეში.

იმედები და მისია, რომელიც თითქმის საუკუნის წინ უნივერსიტეტს წინაპრების მიერ დაეკისრა, დღევანდელი თსუ-სთვის დიდი პატივი და მისიაა. ღონისძიებებიც, რომელიც პირველი უნივერსიტეტის დაარსების თარიღს გვახსენებს, საგანგებოდ დაიგეგმა და მთელ 2013 წელს გასტანს. მეტიც, წელს დაწყებული პროექტი „მე უნივერსიტეტი“, მომავალი ხუთი წლის განმავლობაში ცნობილი თანამედროვე უნივერსიტეტელების ფოტოებს დააგროვებს და უნივერსიტეტი 100 წლის თავზე უკვე გრანდიოზულ ფოტოგამოფენას უმასპინძლებს.

ყველას, ვინც დღეს აირჩევს უნივერსიტეტელობას, ამ პროცესთან თანაზიარობის შანსი მიეცემა.

წელს კი, 2013 წლის 8 თებერვალს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თსუ-ს 95 წლის იუბილე საგანგებოდ აღინიშნა.

ღონისძიებას თსუ-ს რექტორი ალექსანდრე კვიტაშვილი, მოწვეული სტუმრები – აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების, აკადემიური წრეების, დიპლომატიური კორპუსის, საზოგადოების წარმომადგენლები და სტუდენტები დაესწრნენ.

იუბილეს ფარგლებში უნივერსიტეტის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის თსუ 6 პროფესორი – ქეთევან მარშავა, დავით გორდეზიანი, ალექსანდრე რონდელი, თემურ ჯორბენაძე, გურამ ნაჭყებია და ლილი ქორქოლიანი ივ. ჯავახიშვილის სახელობის მედლებით დაჯილდოვდნენ; გაიმართა წიგნის „Rettulit, ლიტერატურული დაბრუნება“ პრეზენტაცია, რომელშიც თსუ კურსდამთავრებული სხვადასხვა თაობის 15 მწერლის ნაწარმოებები გაერთიანდა.

უნივერსიტეტმა სიურპრიზი მოუმზადა სტუდენტებს – პროექტმა „ჩაიფიქრე ჩვენთან ერთად“ ყველა სტუდენტს საშუალება მისცა საახალწლო სურვილები დაეწერა ბარათზე და ნაძვის ხეზე განეთავსებინა. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ ყველაზე ორიგინალური სამი სურვილი შეუსრულა მათ ავტორებს: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი მერი გოჩიაშვილი თსუ-ს ბიბლიოთეკაში დასაქმდა; უნივერსიტეტის მუსიკალური ჯგუფის „ევერ გრეენ-ის წევრის გიორგი ცირეკიძის სურვილით მის მეგობარს, ამავე ჯგუფის წევრს უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ ელექტროგიტარა შეუძინა; გეოგრაფებისა და ალპინისტების ერთობლივ ექსპედიაციაში თსუ ოთხი სტუდენტი მიიღებს მონაწილეობას და გაზაფხულზე მყინვარწვერს დალაშქრავს.

იუბილეს ფარგლებში ღონისძიების მეორე ნაწილი სააქტო დარბაზის ფოიეში გაიმართა. ფოტოგამოფენაზე „მე უნივერსიტეტი“ ინტერნეტგამოკითხვის საფუძველზე გამოვლენილ წარმატებულ უნივერსიტეტელთა სურათები გამოიფინა. ხოლო ფოლკლორულმა ანსამბლმა „უნივერსიტეტმა“ და ჯგუფმა „თსუ არტ“-მა ღონისძიების მონაწილეებს ახალი მუსიკალური ექსპერიმენტი შესთავაზეს - საუნივერსიტეტო ჰიმნი „გაუდეამუსი“ თანამედროვედააჟღერეს. საიუბილეო საღამო საზეიმო მიღებით და თბილისის მერიის საკონცერტო ორკესტრის (ბიგბენდის) კონცერტით დასრულდა.

თსუ-ს საიუბილეო წელი 2012 წლის 10 დეკემბერს გამოცხადდა, რომელიც 2 პროექტით – „UNI-კადრი“ და „სექტორი 12“-ით დაიწყო. გაიმართა სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის „თსუ მეცნიერების“ საიუბილეო, მესამე ნომრის პრეზენტაცია. საინტერესოა, რომ ეს ერთადერთ ამ ტიპის სამეცნიერო-პოპულარული, მრავალთემატური ჟურნალია საქართველოში, რომელიც მიზნად მეცნიერების პოპულარიზაციას ისახავს და თსუ-ში მიმდინარე სამეცნიერო კვლევების შესახებ პოპულარულ ენაზე აწვდის ინფორმაციას საზოგადოებას. ამასთან, ჟურნალი ორენოვანია – ქართული და ინგლისური, რაც ქართველი მკვლევარების შესახებ ინფორმაციას უცხოენოვანი მკითხველისთვისაც მისაწვდომს ხდის. წელს ამ ჟურნალის კიდევ ორი ნომრის გამოშვებაა დაგეგმილი. ასევე დაგეგმილია არაერთი ღონისძიების გამართვა, საიუბილეო წელი კი შემოდგომაზე გალა ღონისძიებით დასრულდება.

# „მე – უნივერსიტეტი“

***მზექალა შანიძე, თსუ პროფესორი***

– მე უნივერსიტეტის ატმოსფეროში გავიზარდე. ბავშვობიდან ჩვენს ოჯახში ვხედავდი იმ ხალხს, რომლებსაც დღეს უნივერსიტეტის დამაარსებლებს ეძახიან. ვხედავდი უფროსებს და უნივერსიტეტის პირველი გამოშვების თაობას, რომელიც შემდგომში ამ საქმის გამგრძელებელი გახდა. განსაკუთრებით ერთი კაცი მახსოვს, რომელსაც ყველა განსხვავებულად ეპყრობოდა მიუხედავად იმისა, რომ მისი საქციელი ყოველთვის ძალიან უბრალო, სადა და თავაზიანი იყო. ბავშვი რომ ვიყავი, მაშინაც ვგრძნობდი, მისადმი ყველას განსხვავებული დამოკიდებულება ჰქონდა. ისიც მახსოვს, რომ მას თვალს ვერ ვუსწორებდი. ეს კაცი ივანე ჯავახიშვილი გახლდათ.

***მარიამ ლორთქიფანიძე, თსუ პროფესორი***

– უნივერსიტეტში ავიდგი ფეხი და, ფაქტობრივად, მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება იქ გავატარე. მყავდა ბრწყინვალე პედაგოგები. სიმონ ჯანაშიამ, ნიკო ბერძენიშვილმა, ალექსანდრე მამრაძემ, გიორგი ნიორაძემ, გიორგი ჩიტაიამ გამზარდეს. (ივანე ჯავახიშვილს მაინც და მაინც ვერ მოვესწარი). ესენი იყვნენ თავისი დარგის დამფუძნებლები უნივერსიტეტში. ასე რომ, იმდენი რამ მივიღე უნივერსიტეტისგან, რომ მთელი ჩემი ცხოვრება „საგზლად“ მეყოფა.

***ვახტანგ ხმალაძე, საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე***

– პირველად უნივერსიტეტის შენობაში მე-8 თუ მე-9 კლასის მოსწავლე რომ ვიყავი, მაშინ შემოვედი. უნივერსიტეტიდან წასვლის შემდეგ არაერთგზის გამჩენია აქ დაბრუნების სურვილი. კომფორტული და სასიამოვნო იყო არამარტო ის, რა საქმესაც ვაკეთებდი, არამედ არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ის გარემო, სადაც ვმუშაობდი და ვცხოვრობდი. ვიყავი უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი, შემდეგ უფროსი მეცნიერ–თანამშრომელი, დავიცავი დისერტაცია, ვკითხულობდი ლექციებს. ჩემი ძირითადი სამუშაო სამეცნიერო ხასიათის იყო. ველის კვანტური თეორიისა და ელემენტარული ნაწილაკების თეორიის სფეროში ვმუშაობდი.

***ლევან ალექსიძე, თსუ რექტორის მოადგილე, პროფესორი***

– ოქტომბერში, როდესაც იწყება სემესტრი და შევდივარ აუდიტორიაში, ყოველთვის ვღელავ. იცით ეს როგორ არის? ახალ აუდიტორიაში შედიხარ როგორც მსახიობი, გრძნობ რა იმპულსი მოდის აუდიტორიიდან და ცდილობ ამ იმპულსს უპასუხო. არა გაყვითლებული ფურცლებით და კონსპექტებით, არამედ უნდა შეხედო თვალებში და დაინახო რას ელიან. ჩემი თავი უნივერსიტეტის გარეშე ვერ წარმომიდგენია. მაშინაც, როდესაც გაეროში ვმუშაობდი, სულ უნივერსიტეტზე ვფიქრობდი, იმ სტუდენტებზე, რომლებიც მივატოვე. მართლაც ვერ გავძელი და დავბრუნდი. 62 წელი უნივერსიტეტიში არც ისე ხანმოკლე მონაკვეთია, მთელი ჩემი ცხოვრების ორი მესამედია.

***გია დვალი, მიუნხენის ლუდვიგ მაქსიმილიანის და ნიუ-იორკის უნივერსიტეტის პროფესორი***

– ეს ერთ-ერთი გამორჩეული ადგილია ჩემთვის ბუნებრივი მიზეზების გამო, რადგან ეს არის ჩემი ალმა მატერი. ეს ჩემი უნივერსიტეტია.

***დავით უსუფაშვილი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე***

– უნივერსიტეტმა და მისმა იურიდიულმა ფაკულტეტმა განსაზღვრა მთელი ჩემი საზოგადო ცხოვრება. 1985 წელს, როდესაც სკოლა დავამთავრე და უმაღლესი განათლების მიღება გადავწყვიტე, მაშინ დღევანდელისგან განსხვავებით ერთი უნივერსიტეტი იყო და იმ უნივერსიტეტში ერთი იურიდიული ფაკულტეტი. ვინაიდან იურისტობა მსურდა, ფაქტობრივად, არჩევანის საშუალებაც კი არ მქონდა, ასე მოვხვდი უნივერსიტეტში.

***გიორგი მარგველაშვილი, საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრი***

– უნივერსიტეტში ეზიარები იმას, რასთანაც სხვაგან შეხება არ გქონია. გამორჩეულობის განცდა პირველ და მეორე კურსზე განსაკუთრებით გვქონდა. ბუნებრივია, ურთიერთობა და კარგი დამოკიდებულება ლექტორებსა და კურსელებთან.

***ნოდარ ხადური, საქართველოს ფინანსთა მინისტრი***

– ძალიან მიყვარს ლექციები და ის, რომ უნივერსიტეტის პროფესორი ვარ განსაკუთრებული პატივია, თანაც მუდმივად ფორმაში ვარ. ძალზე ბევრ რამეში მეხმარება ლექტორობა.

***გიორგი კეკელიძე, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი***

– უნივერსიტეტში შევხვდი ძალიან ბევრ საინტერესო ადამიანს - ლექტორებს, ჩემს კურსელებს, რომლებმაც ბევრი ახალი გამაცნეს, გამიზიარეს და, შესაბამისად, წიგნთან მისვლის გზებიც ჩემთვის შეიცვალა და საინტერესო გახდა. უნივერსიტეტის ლიტერატურიული წრის აქტიური მონაწილე ვიყავი. 93-ე აუდიტორიაში სამშაბათობით გამართული ცნობილი საღამოები, ერთგვარი ზეიმიც კი იყო.

95
იარე ჩვენთან ერთად

## თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მისია არის: მაღალი ხარისხის განათლების უზრუნველყოფა; მაღალი დონის ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების წარმოება; კვლევაზე დაფუძნებული სწავლების განხორციელება; მოტივირებული და ნიჭიერი სტუდენტების მიზიდვა; კვლევებისა და სწავლების ინტერნაციონალიზაცია.

ფაკულტეტი აერთიანებს 8 დეპარტამენტს, 20 სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს, 35 სასწავლო–კვლევით ლაბორატორიას. ძირითადი სასწავლო და კვლევითი საქმიანობა ხორციელდება შემდეგ დეპარტამენტებში:

მათემატიკის, კომპიუტერული მეცნიერებების, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, გეოლოგიის, გეოგრაფიის, ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის.

სამეცნიერო კვლევების თვალსაზრისით ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი უდავო ლიდერია უნივერსიტეტში და ამ კუთხით მას გამორჩეული ადგილი უჭირავს საქართველოში: ჩვენ გვაქვს ყველაზე მეტი დაფინანსებული ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტი, ყველაზე მეტი პუბლიკაცია აღიარებულ მაღალრეიტინგულ საერთაშორისო გამოცემებში; ჩვენი ფაკულტეტის სახელით ასობით მოხსენება კეთდება სამეცნიერო კონფერენციებსა და სემინარებზე. ფაკულტეტის პერსონალის მიერ შექმნილი სამეცნიერო პროდუქცია, პუბლიკაციები იმპაქტ-ფაქტორის მქონე სამეცნიერო ჟურნალებში ყოველწლიურად ასზე მეტია. ასეთი შედეგების მიღწევა მხოლოდ მაღალკვალიფიციურ პროფესიონალებს შეუძლიათ და ეს პროფესიონალები დღეს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე მოღვაწეობენ.

ფაკულტეტის სამეცნიერო პოტენციალი ნათლად გამოჩნდა პირველ საფაკულტეტო კონფერენციაზე – http://conference.ens-2013.tsu.ge/, რომელსაც წელს ჩაეყარა საფუძველი და მიეძღვნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების 95-ე წლისთავს.

ფაკულტეტის პერსონალის მაღალი კვალიფიკაცია საშუალებას გვაძლევს სტუდენტებს შევთავაზოთ მრავალფეროვანი და საინტერესო პროგრამები სწავლების სამივე საფეხურზე: ბაკალავრიატში, მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში.

ფაკულტეტი 2013-2014 სასწავლო წლისთვის აბიტურიენტებს სთავაზობს 11 განახლებულ საბაკალავრო პროგრამას:

მათემატიკა, კომპიუტერული მეცნიერებები, კომპიუტერული მეცნიერებები (ქართულ-ფრანგული), ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, გამოყენებითი ბიომეცნიერებები და ბიოტექნოლოგია, გეოგრაფია, გეოლოგია, ელექტრული და ელექტრონული ინჟინერია, ეკოლოგია.

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების განვითარებას სახელმწიფო უჭერს მხარს და ფაკულტეტის პოპულარობაც აბიტურიენტებში ყოველწლიურად იზრდება. 2012 წელს ფაკულტეტზე ჩარიცხული 900 სტუდენტიდან სხვადასხვა სახის დაფინანსება 94%–მა მოიპოვა. ვფიქრობთ, რომ 2013 წელს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ფაკულტეტზე ჩარიცხულ სტუდენტთა დიდი ნაწილი მიიღებს დაფინანსებას. მით უმეტეს, რომ 2013 წელს მისაღები კონტინგენტი 900 სტუდენტით განისაზღვრა და აქედან 400 ადგილზე გათვალისწინებულია 100%-იანი სახელმწიფო დაფინანსება. კერძოდ – 100%-იანი სახელმწიფო პროგრამული დაფინანსება გამოყოფილია საბაკალავრო პროგრამებზე მათემატიკა – 100 ადგილი, ფიზიკა – 100 ადგილი, ქიმია – 100 ადგილი, ბიოლოგია – 100 ადგილი. გარდა ამისა, კვლავ ძალაშია 100%-იანი, 70%-იანი და 50%-იანი სასწავლო გრანტის მოპოვების შესაძლებლობა.

საგანმანათლებლო პროგრამების ნაწილი ხორციელდება უცხოელი კოლეგების მონაწილეობით, როგორც ბაკალავარიატში, ასევე მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში. ზოგიერთი პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ სტუდენტები ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიპლომთან ერთად მიიღებენ ევროპული უნივერსიტეტის დიპლომს.

განათლების პირველ საფეხურზე – ბაკალავრიატში, ინტერესების შესაბამისად სტუდენტებს შეუძლიათ აქტიური მონაწილეობა მიიღონ საკუთარი სასწავლო პროცესის დაგეგმვაში; ფაკულტეტი სტუდენტებს მრავალფეროვან არჩევანს თავაზობს:

ძირითად სპეციალობასთან ერთად სტუდენტებს შეუძლიათ დაეუფლონ დამატებით სპეციალობას. რესურსის არსებობის შემთხვევაში დამატებითი სპეციალობა შესაძლებელია არჩეული იქნეს როგორც ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე არსებული საგანმანათლებლო პროგრამებიდან, ასევე უნივერსიტეტის სხვა ფაკულტეტებზე არსებული პროგრამებიდან;

ძირითად, სპეციალობასთან ერთად სტუდენტებს შეუძლიათ მიიღონ სკოლის მასწავლებლისთვის აუცილებელი განათლება;

სტუდენტებს შეუძლიათ სწავლისთვის განკუთვნილი დრო მთლიანად მოახმარონ ძირითადი სპეციალობის გაღრმავებულ შესწავლას;

ძირითად სპეციალობასთან ერთად სტუდენტებს შეუძლიათ სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამებიდან აირჩიონ სასწავლო კურსების კონცენტრაცია.

წარჩინებული სტუდენტები ჩართული არიან კვლევით სამუშაოებში, ზოგიერთი მათგანი ბაკალავრიატის დასრულებამდეც კი ასწრებს მნიშვნელოვანი სამეცნიერო შედეგების მიღებას, რეცენზირებად უცხოურ ჟურნალებში კვლევის შედეგების გამოქვეყნებას. ფაკულტეტის სტუდენტები წარმატებით მონაწილეობენ საერთაშორისო სტუდენტურ ოლიმპიადებში. სტუდენტების ნაწილი გაცვლითი პროგრამების ფარგლებში მიემგზავრება საზღვარგარეთ სემესტრის გასატარებლად. სწავლის დასრულების შემდეგ ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა ნაწილი სწავლას აგრძელებს შემდეგ საფეხურზე როგორც საქართველოში, ასევე ქვეყნის გარეთ. დღეს ფაკულტეტის კურსდამთავრებულები სწავლობენ სტენფორდში, ლონდონში, ციურიხში, ბონში და კიდევ მრავალ სხვა ცნობილ უნივერსიტეტში.

კონკურსის საფუძველზე ბაკალავრიატის წარჩინებული სტუდენტები სემესტრულად იღებენ პრეზიდენტის სტიპენდიას, ზოგიერთ პროგრამაზე დაწესებულია სახელობითი სტიპენდიები; კონკურსის საფუძველზე ბაკალავრიატის და მაგისტრატურის წარჩინებული სტუდენეტებისთვის ხდება სწავლის საფასურის გადახდა ფაკულტეტის მიერ. სწავლის გადასახადის თვალსაზრისით განსაკუთრებით შეღავათიანი პირობებია დაწესებული დოქტორანტებისთვის.

ფაკულტეტი მოწოდებულია დაეხმაროს სტუდენტებს მათი ნიჭის გამოვლენაში. კრეატიული სტუდენტების ხელშეწყობის მიზნით 2012 წელს ფაკულტეტზე პირველად ჩატარდა ორი ახალი კონკურსი – სტუდენტური ნაშრომებისა და სტუდენტური ინოვაციების კონკურსი, რასაც ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში ანალოგი არ მოეპოვება.

სკოლის მოსწავლეებისთვის ფაკულტეტის ფარგლებში ფუნქციონირებს „საბავშვო უნივერსიტეტი“. საინტერესო ლექციების ციკლის გარდა ფაკულტეტი აწყობს ვიქტორინას რამდენიმე ტურად. სკოლები ერთმანეთს ეჯიბრებიან მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, გეოგრაფიის ცოდნასა და სხარტ აზროვნებაში. 2012 წელს, დეკემბრის თვეში, გაიმართა ფინალური ტური და სამ გამარჯვებულ გუნდს საჩუქრები გადაეცა. სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულები ამ ღონისძიებაშიც. ჩვენი ფაკულტეტის წარმატებული სტუდენტები მონაწილეობას იღებენ პროექტში "თსუ დესპანი", რომლის ფარგლებშიც დესპანები ხვდებიან სკოლის დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებს და აცნობენ მათ უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის სიახლეებს. გვყავს სტუდენტები, რომლებსაც აინტერესებთ მუსიკა, სიმღერა, პოეზია, სპორტი; ფაკულტეტი სხვადასხვა ღონისძიებებით ხელს უწყობს სტუდენტებს ამ ინტერესების დაკმაყოფილებაში.

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პერსონალს, როგორც წესი, გულისხმიერი დამოკიდებულება აქვს სტუდენტების პრობლემების მიმართ, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ეხმარება სტუდენტებს სწავლასა და კვლევაში წარმატების მისაღწევად.

დეტალური ინფორმაციის მიღება ფაკულტეტზე მოქმედი პროგრამების შესახებ შესაძლებელია: http://www.tsu.edu.ge/faculties/science/forstudents

## თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი 1918 წელს დაარსებული პირველი ქართული უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის მემკვიდრეა. ამჟამად ის უნივერსიტეტის ერთ–ერთი მნიშვნელოვანი, დიდი სამეცნიერო პოტენციალის მქონე, დინამიკურად განვითარებადი და კონკურენტუნარიანი ფაკულტეტია, რომელზეც სწავლება და კვლევა მიმდინარეობს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ყველა ძირითადი მიმართულებით.

ჩვენ გთავაზობთ: სტუდენტზე ორიენტირებულ აკრედიტებულ საგანამანათლებლო პროგრამებს უმაღლესი განათლების სამივე საფეხურზე (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა და დოქტორანტურა).

***საგანმანათლებლო პროგრამები:***

***ძირითადი და დამატებითი საბაკალავრო პროგრამები:***

ფილოსოფია; ისტორია; არქეოლოგია; ეთნოლოგია; კულტურის კვლევები; ხელოვნებათმცოდნეობა; ამერიკისმცოდნეობა; კავკასილოლგია (ქართ. რუს.); დაწყებითი განათლება; სახვითი ხელოვნება; ტელე-კინო ხელოვნება.

***აღმოსავლეთმცოდნეობა:***

არაბისტიკა; ირანისტიკა; თურქოლოგია; ებრაისტიკა-არამეისტიკა; არმენოლოგია; ასირიოლოგია

***ფილოლოგია:***

ქართული ფილოლოგია; ინგლისური ფილოლოგია; გერმანული ფილოლოგია; ფრანგული ფილოლოგია; ესპანური ფილოლოგია; იტალიური ფილოლოგია; კლასიკური ფილოლოგია; ბიზანტიური ფილოლოგია; ახალი ბერძნული ფილოლოგია; რუსული ფილოლოგია; რუსული ფილოლოგია (რუსულენოვანი); სკანდინავიური ფილოლოგია.

***მხოლოდ დამატებითი საბაკალავრო პროგრამები:***

პედაგოგიკა; შორეული აღმოსავლეთის რეგიონისმცოდნეობა; თეოლოგია; გამოყენებითი ენათმეცნიერება;

***სახელმწიფოს მიერ სრულად დაფინანსებული საბაკალავრო პროგრამები:***

ქართული ფილოლოგია - 200 სტუდენტი

ისტორია - 150 სტუდენტი

არქეოლოგია - 25 სტუდენტი

ფილოსოფია - 25 სტუდენტი

დაწყებითი განათლება - 25 სტუდენტი

ბაკალავრიატის სტუდენტს შეუძლია დაეუფლოს ერთ ძირითად და ერთ დამატებით სპეციალობას.

ფაკულტეტის უმაღლესი პროფესიული პროგრამები: კინო-ტელე რეჟისორი; ტანსაცმლის დიზაინი.

***ქართული ენის პროგრამები:*** ქართულ ენაში მომზადების პროგრამა აზერბაიჯანულენოვანი სტუდენტებისთვის; ქართულ ენაში მომზადების პროგრამა სომხურენოვანი სტუდენტებისთვის.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტებს საშუალება აქვთ, თეორიული და პრაქტიკული ცოდნა განამტკიცონ სასწავლო-სამეცნიერო ექსპედიციებში. მომავალ არქეოლოგებს, ფოლკლორისტებს, ეთნოლოგებს, ქართველური ენების სპეციალისტებს, ხელოვნებათმცოდნეებს ყოველ ზაფხულს შესაძლებლობა ეძლევათ, გაემგზავრონ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში: სვანეთში, სამეგრელოში, აჭარაში, ფშავ-ხევსურეთში, რაჭალეჩხუმში, კახეთში, სამცხე-ჯავახეთში... შეაგროვონ მასალა, შეიძინონ პრაქტიკული მუშაობის უნარ-ჩვევები, დაათვალიერონ, შეისწავლონ კულტურის ძეგლები და მიიღონ დაუვიწყარი სტუდენტური შთაბეჭდილებები. მაგალითად, 2012 წელს ხელოვნებათმცოდნეობის პროგრამის სტუდენტებისთვის მოეწყო ექსპედიცია სამხრეთ საქართველოსა და თურქეთში ისტორიული ტაო-კლარჯეთის ძეგლების გასაცნობად. ეთნოლოგიის მიმართულების სტუდენტებმა საახალწლო დღეები გაატარეს ექსპედიციაში, სოფ. ანაკლიაში, ეთნოგრაფიული ყოფისა და კულტურის ელემენტების ცვლილებების დაფიქსირებისა და შესწავლის მიზნით, არქეოლოგიური ექსპედიციის მონაწილე სტუდენტები კი ხშირად ხდებიან ახალი არქეოლოგიური აღმოჩენების მოწმეები.

განათლების მეცნიერებებისა და მასწავლებელთა განათლების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები პრაქტიკას გადიან თბილისის საჯარო სკოლებში (ყოველწლიურად 35-40 სტუდენტი).

ტელე-კინო ხელოვნების სპეციალობის სტუდენტებს საშუალება აქვთ პრაქტიკა გაიარონ ტელევიზიებსა და კონოსტუდიებში, სახვითი ხელოვნების სპეციალობის სტუდენტებისათვის კი სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულია საპლანერო მუშაობა (ეტიუდები ღია ცის ქვეშ).

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებს შეუძლიათ ისრგებლონ თსუ პირველ კორპუსში განთავსებული შოთა რუსთაველის სახელობის სამკითხველო დარბაზით, რომელშიც 120 000-ზე მეტი წიგნია დაცული ჰუმანიტარული მეცნიერებების ყველა დარგიდან. თანამედროვე ტექნოლოგიები აიოლებს ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის გამოყენებას, ბიბლიოთეკაში შექმნილი კომფორტული გარემო კი სტუდენტების ერთ-ერთი საყვარელი ადგილია.

გარდა ამისა, ფაკულტეტზე ფუნქციონირებს რამდენიმე სპეციალიზებული ბიბლიოთეკაც: სიმონ ყაუხჩიშვილის სახელობის ბიბლიოთეკა; ამერიკისმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ბიბლიოთეკა; ლევონ მელიქსეთ-ბეგის სახელობის ბიბლიოთეკა და სხვ.

სასწავლო-სამეცნიერო ინსტი-ტუტებს/დეპარტამენტებს აქვთ წიგნების სპეცილიზირებული ფონდი, რომლითაც სარგებლობა შეუძლია შესაბამისი მიმართულების ყველა სტუდენტს.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ფუნქციონირებს: არქეოლოგიის სასწავლო ლაბორატორია, სადაც სტუდენტები სწავლობენ არქეოლოგიური მასალის ლაბორატორიულ დამუშავებას (აღწერა, რესტავრაცია, კონსერვაცია, ჩახატვა და ფოტოგადაღება); სამხატვრო სტუდია; ტელე-კინო ხელოვნების სასწავლო სტუდია „ვარაზი“.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტები სტაჟირებას გადიან საქართველოს პარლამენტში, არქივებში, გამომცემლობებში, მუზეუმებში, სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციებში. ჩვენი კურსდამთავრებულები საქმდებიან მუზეუმებში, არქივებში, მასმედიაში, გამომცემლობებში, საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ბიბლიოთეკებში, ტურისტულ ფირმებში, სამხატვრო გალერეებში, სამოღელო სახლებში, ტელეკომპანიებსა და ტელესტუდიებში, კვლევით ცენტრებში, სამთავრობო სტრუქტურებში, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებში.

ფაკულტეტზე ხშირად ეწყობა სხვადასხვა სტუდენტური ღონისძიება: ლიტერატურული საღამოები, გამოფენები, თემატური შეხვედრები, საჯარო ლექციები, ფილმების ჩვენება და განხილვა, სტუდენტური კონკურსები. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე მუშაობს სტუდენტთა სამეცნიერო წრეები. ყოველწლიურად ტარდება რამდენიმე სტუდენტური კონფრენცია, მათ შორის, საერთაშორისო და რეგიონული მნიშვნელობის. ფაკულტეტზე ფუნქციონირებს ბერძნულენოვანი სტუდენტური თეატრი „ოდეონი“. ჩვენთან მუშაობს კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის საგანმანათლებლო-საგამომცემლო პროგრამა „ლოგოსი“, რომლის ფარგლებშიც მრავალი სახელმძღვანელო გამოიცა.

წარჩინებულ სტუდენტებს საშუალება ეძლევათ მონაწილეობა მიიღონ გაცვლით პროგრამებში გერმანიის, საფრენგეთის, საბერძნეთის, იტალიის, პოლონეთის, უნგრეთის, ლატვიის, ესტონეთის, თურქეთის, ეგვიპტის, ირანისა და სხვა ქვეყნების უმაღლეს სასწავლებლებსა და საზაფხულო სკოლებში.

2007 წლის გაზაფხულზე დაარსდა ნორჩ ჰუმანიტართა სკოლა, რომელმაც დაარსების დღიდან დიდი პოპულარობა მოიპოვა. დაინტერესებულ მოსწავლეებს აქ შეუძლიათ მოისმინონ ფაკულტეტის წამყვანი პროფესორების ლექციები, დაეუფლონ უცხო ენებს, წერისა და ზეპირი პრეზენტაციის უნარებს, გაიარონ ქართული ენისა და ლიტერატურის, ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის კურსები.

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, თსუ-ის სტუდენტებს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ხვდებათ კეთილგანწყობილი, აკადემიური და სტუდენტზე ორიენტირებული გარემო, საუკეთესო შესაძლებლობა იმისა, რომ მაქსიმალურად დაეუფლონ ცოდნას, გამოავლინონ თავი და მოემზადონ სამომავლო ცხოვრებისათვის.

## თსუ იურიდიული ფაკულტეტი

უმაღლესი იურიდიული განათლება საქართველოში საუკუნოვან ეროვნულ ტრადიციას ეფუძნება, იურიდიული ფაკულტეტი ჩამოყალიბებიდან საქართველოში სამართლებრივი განათლების დაუფლების მთავარი კერა იყო. დღეს მოქმედი იურისტების უმეტესი ნაწილი სწორედ თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის აღზრდილია.

ფაკულტეტზე არსებობს ორი პროგრამა - სამართლის და საერთაშორისო სამართალის. მისაღები კონტინგენტის რაოდენობა: სამართალი: 500; საერთაშორისო სამართალი: 50;

ბაკალავრიატის კურსდამთავრებულს გამოუმუშავდება შემდეგი დარგობრივი კომპეტენციები:

სამართლის სპეციალობით: სპეციალიზაციის სფეროს სიღრმისეული ცოდნა; ეროვნული სამართლის სისტემის ძირითადი თავისებურებების, ინსტიტუტების, მატერიალური და პროცესუალური ნორმების ცოდნა; ზოგადსამართლებრივი პრინციპების, ფასეულობებისა და ღირებულებების ცოდნა; სამართლის ცოდნის ეფექტიანად გამოყენების უნარი; პრაქტიკული საქმიანობისას სამართლიანობის, ადამიანის უფლებების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების დაცვისადმი მისწრაფების უნარი; საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო პრაქტიკისა და მეცნიერული სიახლეების მიდევნებისა და ცოდნის მუდმივად განახლების უნარი.

საერთაშორისო სამართლის სპეციალობით:

ეროვნული სამართლისა და საერთაშორისო სამართლის სისტემების ძირითადი თავისებურებების, ინსტიტუტების, მატერიალური და პროცესუალური ნორმების ცოდნა; საერთაშორისო სამართლის პრინციპების, ფასეულობებისა და ღირებულებების ცოდნა: საერთაშორისო პრეცედენტული სამართლის ათვისებისა და პრაქტიკაში გამოყენების უნარ-ჩვევები; სამართლის ცოდნის პრაქტიკაში ეფექ-

ტურად გამოყენების უნარი; პრაქტიკული საქმიანობისას სამართლიანობის, ადამიანის უფლებების საერთაშორისო სტანდარტების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების დაცვისადმი მისწრაფების უნარი.

თსუ იურიდიულ ფაკულტეტზე თეორიული სწავლების პარალელურად პრაქტიკული სწავლებისა და სტაჟირების აქტიური პრაქტიკაა დანერგილი.

პრაქტიკული სწავლების ფორმით ფაკულტეტი მის სტუდენტებს ძირითადად სთავაზობს იმიტირებულ სასამართლო პროცესებსა და იურიდიულ დებატებში მონაწილეობის, იმიტირებული იურიდიული კონსულტირებისა და ადვოკატირების შესაძლებლობებს როგორც უშუალოდ ფაკულტეტის, ისე მის ბაზაზე არსებული და მოქმედი სტუდენტური საზოგადოებების თუ სხვა დაწესებულებების მიერ ორგანიზებული ღონისძიებების მეშვეობით.

ზოგადად, იურიდიული ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებით დადგენილი თითქმის ყველა სასწავლო მოდული ითვალისწინებს პრაქტიკული სწავლების მეთოდით სარგებლობას. ეს პროგრამები პირდაპირ ისახავენ მიზნად სტუდენტისათვის იმ მეთოდების სწავლებას, რომლებიც აუცილებელია იურისტისათვის და რომლის საშუალებითაც მათ შეეძლებათ მიღებული ცოდნის პრაქტიკული გამოყენება.

თსუ იურიდიულ ფაკულტეტს აქვს იურიდიული ლიტერატურის კავკასიაში ყველაზე მდიდარი და ხშირად განახლებადი სასწავლო დანიშნულების ბიბლიოთეკა. იგი, თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის მიერთების შემდეგ, შეიცავს წიგნად ფონდს ოცდაათი ათასი ერთეულის ოდენობით და თინათინ წერეთლის, დავით ფურცელაძის, ლამარა სურგულაძის, თამარ ცაგურიას, ივან პერეტერსკისა და ნიკოლაი პოლიანსკის პირად კოლექციებს.

სამაგისტრო პროგრამებით დადგენილია სავალდებულო პრაქტიკული კომპონენტი, რომელიც მოიცავს ურიდიული კლინიკის ნაწილს. იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია შემდეგი კლინიკები:

ქალაქ თბილისის მერიის იურიდიული დახმარების პროგრამის ფარგლებში არსებული საადვოკატო კლინიკა; პრაქტიკული სამართლის კლინიკა; იურიდიული დახმარების სამსახურის კლინიკა; მთავარი პროკურატურის კლინიკა; პოლიციის აკადემიის კლინიკა; თბილისის საქალაქო სასამართლოს კლინიკა; თბილისის სააპელაციო სასამართლოს კლინიკა; სასამართლო საქმის წარმოებისა და მენეჯმენტის კლინიკა (რუსთავის საქალაქო სასამართლოს ბაზაზე); აღსრულების ეროვნული ბიუროს კლინიკა; ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს კლინიკა; საქპატენტის კლინიკა; ცენტრალური საარჩევნო კომისიის კლინიკა; საადვოკატო და საარბიტრაჟო კლინიკა; იურიდიული ფირმის „მგალობლიშვილი, ყიფიანი, ძიძიგური“ საადვოკატო კლინიკა; ერისთავის იურიდიული ჯგუფის საადვოკატო კლინიკა; კორძაძის საადვოკტო ბიუროს კლინიკა; საკონსტიტუციო სასამართლოს კლინიკა; მედიაციის კლინიკა; ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის კლინიკა.

გარდა ამისა, იურიდიული ფაკულტეტი აწყობს სემესტრულ საფაკულტეტო სტუდენტურ კონფერენციებს, სამართლის სკოლებსა და სასერტიფიკაციო პროგრამებს. იურიდიული ფაკულტეტის ბაზაზე მისი სტუდენტების მიერ შექმნილი ორგანიზაციები „საქართველოს ახალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოება“ და „ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაცია საქართველო“ გამოსცემენ სტუდენტურ პერიოდულ და არაპერიოდულ პუბლიკაციებს, რომლითაც სტუდენტებს შეუძლიათ, მათ აკადემიურ ნამუშევრებს ბიბლიოგრაფიული ღირებულება შესძინონ და გააცნონ იგი იურიდიულ საზოგადოებას.

იურიდიული ფაკულტეტი სტუდენტებს სთავაზობს როგორც შიდა საუნივერსიტეტო, ისე გარე ინსტიტუციონალურ სასტიპენდიო პროგრამებს, როგორიცაა, მაგალითად, საქართველოს ნოტარიუსთა პალატის სასტიპენდიო პროგრამა.



*თსუ სამეცნიერო-საწარმოო კომპლექსი „ელექტრონული ტექნიკა“*



*თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გეოგრაფიის მიმართულების სტუდენტები ექსპედიციაში*



*თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტები არქეოლოგიურ ექსპედიციაზე*



*თსუ იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები იმიტირებულ სასამართლო პროცესზე*



*თსუ იურიდიული ფაკულტეტის ბიბლიოთეკა. II კორპუსი*

# „მე – უნივერსიტეტი“

***ალექსანდრე რონდელი, თსუ პროფესორი***

– უნივერსიტეტმა მასწავლა მუყაითი შრომა. მართალია ქართულ ხასიათს მაინც ვერ გავექეცი, მაგრამ, იმასთან შედარებით, რაც ვიყავი, ყოველდღიური შრომა და წიგნთან მუშაობა მასწავლა, ბიბლიოთეკა შემაყვარა და რადგან ეხლა თავად ვასწავლი, სტუდენტები და სტუდენტური დრო შემაყვარა. სადაც ახლა ვდგავარ, ეს ფეხბურთის გულშემატკივართა ბირჟა იყო. შოთა აფაქიძესთან კაბინეტში თამაშის წინ, საერთოდ, თავისუფალი დრო რომ გვქონდა, სულ აქ ვიჯექით. ვგეგმავდით, თუ როგორ დროშით გამოვიდოდა და რანაირ ფორმას ჩაიცვამდა ჩვენი ნაკრები, საქართველო დამოუკიდებელი რომ გახდებოდა ვერც წარმოგვედგინა, რომ საქართველო სრულიად დამოუკიდებელი გახდებოდა. იყო განწყობა, რომ გვესწავლა, რადგან ვიცოდით, რომ ერთ მშვენიერ დღეს ქვეყანას დავჭირდებით.

***ნინო მაღრაძე, თსუ სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტი EMSA-ს პრეზიდენტი***

– გადავწყვიტე, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჩემი მომავლის განმსაზღვრელი და მომავალი სასწავლო დაწესებულება იქნება.

***ნატალია ნებულიშვილი, თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი***

– თბილისის სახელმწიფო უნვერსიტეტის დამსახურება იქნება სწორედ ის, რასაც მივაღწიე. ეს არის ჩემი პირველი ნაბიჯები მეცნიერებაში და სწორედ თსუ იქნება ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი.

***ნიკა აგლაძე, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი***

– უნივერსიტეტის ბაღში და ამ შენობის გარეთ ცხოვრება ისეთივე საინტერესოა, როგორც უნივერსიტეტის შიგნით. ერთი ლექცია შიგნით რომ ტარდება, მეორე გარეთ იმართება და ზოგჯერ პირველსაც კი უწევს კონკურენციას. ეს არის პირველი ქართული უნივერსიტეტი, რაც ისტორიაა და არა თანამედროვეობა. ჩემი სურვილია იგი იყოს პირველი "პროვაიდერი", პირველი გამავრცელებელი ცოდნისა და უმაღლესი განათლებისა ამ ქვეყანაში.

***მარიამ ბექაური, თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებთა ფაკულტეტის სტუდენტი, მწერალი***

– უნივერსიტეტში შევიძინე ბევრი მეგობარი, რომლებთანაც დღემდე ვმეგობრობ, ბევრი რაღაც გავიარეთ ერთად. მართლა ბევრი რამე მაკავშირებს თსუ-სთან, თუნდაც სწავლის და ადამიანების თვალსაზრისით. მთავარი ხომ ურთიერთობებია ცხოვრებაში.

***ბექა ძამაშვილი, თსუ იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი ELSA-ს პრეზიდენტი***

– ეს არის დიდი ოჯახი და რა მხოლოდ ოჯახი. პირადად ჩემი შეგნებული ცხოვრების ყველაზე დიდი ნაწილი ამ უნივერსიტეტთან ასოცირდება, საუკეთესო მეგობრებით, უახლოესი ადამიანებით. რისთვისაც ცხოვრებაში მიმიღწევია სწორედ უნივერსიტეტის შემდეგ და უნივერსიტეტის მეშვეობით არის. ძალზე ძნელია ერთი ან რამდენიმე წინადადებით ზუსტად განვსაზღვრო, რას ნიშნავს ჩემთვის უნივერსიტეტი. ეს არის განსაკურებული სტატუსი, რომელიც მთელი ცხოვრების გაგყვება ადამიანს. ნამდვილად ვაცნობიერებ თუ რას ნიშანავს იყო უნივერსიტეტის სტუდენტი და უნივერსიტეტელი.

***გიორგი ბაქრაძე, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მრჩეველი, თსუ ეკონომიკის საერთშორისო სკოლის კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მკვლევარი***

– ყველასთვის მშობლიურია უნივერსიტეტი. ყოველთვის კარგად და კომფორტულად ვგრძნობ თავს, მიყვარს.

***გიორგი ლობჟანიძე, თსუ პროფესორი***

– ეხლაც და, მით უმეტეს მაშინ, ეს იყო ერთადერთი უნივერსიტეტი, სადაც შეიძლებოდა ადამიანს ხარისხიანი განათლება მიგეღო, მით უმეტეს იმ სფეროში, რომელშიც მე მინდოდა სწავლის გაგრძელება. ეს არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის სკოლა, რომელსაც უდიდესი და უმდიდრესი ტრადიცია აქვს. ყველა, ვინც კი ჩემი, როგორც პიროვნებად შექმნაში მიიღო მონაწილეობა, არა მხოლოდ როგორც სპეციალისტი, არამედ როგორც ადამიანი უნივერსიტეტს უკავშირდება. აღარაფერს ვამბობ ჩემს კურსელებზე, რომლებთანაც დღემდე ვმეგობრობ და უნივერსიტეტელი მეგობრები მართლა ძალიან დიდი ფუფუნებაა.

***მარინა ჩიტაშვილი, თსუ პროფესორი***

– ვთვლი, რომ უნივერსიტეტი თავისი ნამდვილი მნიშვნელობით მხოლოდ ერთი გვაქვს და ეს არის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. და რატომ უნივერსიტეტი? იმიტომ, რომ ჩემი „ალმა მატერია“. არც მიფიქრია, სხვაგან ჩაბარება, თანაც ფსიქოლოგია მხოლოდ უნივერსიტეტში იყო და მის შემდეგ შემიძლია გითხრათ, რომ უნივერსიტეტი არის ადგილი, სადაც მუდმივად ხედავ ახალგაზრდებს, ინტერესს, რომლის სწავლებაც გინდა.

95

იარე ჩვენთან ერთად

# თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი აქტიურად ნერგავს თანამედროვე დასავლური უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემის მიღწევებს.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი შედგება 7 სასწავლო-სამეცნიერო მიმართულებისგან, სადაც სტუდენტებს სთავაზობენ საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებს. ეს მიმართულებებია: პოლიტიკური მეცნიერება, ჟურნალისტიკა, საერთაშორისო ურთიერთობები, საზოგადოებრივი გეოგრაფია, სოციალური მუშაობა, სოციოლოგია და ფსიქოლოგია.

საბაკალავრო პროგრამის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, ფაკულტეტის კურსდამთავრებულს მიენიჭება სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრის ხარისხი (Bacalaurus Artium).

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სავალდებულოა ინგლისური ენის შესწავლა (10 კრედიტის შესრულება). გამონაკლისია საერთაშორისო ურთიერთობებისა და საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულებები, სადაც ინგლისური ენა უფრო ინტენსიურად ისწავლება (სავალდებულოა 30 კრედიტის შესრულება). ბაკალავრიატის სტუდენტს შეუძლია ინგლისურ ენასთან ერთად მეორე უცხო ენის არჩევაც. ასევე, ფაკულტეტი სტუდენტებს პირველი სემესტრიდანვე სთავაზობს იმ ენის სპეციალიზებული კურსის გაგრძელებას, რომელიც მათ ჩააბარეს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე.

***ფაკულტეტზე დანერგილია პრაქტიკული სწავლების შემდეგი ფორმები:***

– საერთაშორისო ურთიერთობის მიმართულების სტუდენტები პრაქტიკას გადიან საგარეო საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს პარლამენტში;

– პოლიტიკური მეცნიერების მიმართულების სტუდენტები პრაქტიკას გადიან საქართველოს პარლამენტში;

– ჟურნალისტიკის მიმართულების სტუდენტები პრაქტიკას გადიან საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელში, რადიოსადგურებში, გაზეთების რედაქციებში. ასევე, საველე პრაქტიკა ხორციელდება ოკუპირებული რეგიონების ახლოს, დევნილებით დასახლებულ რეგიონებში. ყოველწლიურად ჟურნალისტიკის მიმართულების სტუდენტები ფაკულტეტის რესურს-ცენტრში დამოუკიდებლად უშვებენ 5 ჟურნალს და 5 გაზეთს, რომელიც სასწავლო პროცესის შემადგენელი ნაწილია. არსებობს ამ პუბლიკაციების ელექტრონული ვარიანტებიც. ასევე გამოდის ელექტრონული გაზეთებიც;

– საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების სტუდენტებს წელიწადში ერთხელ უტარდებათ საველე პრაქტიკა ან თბილისის შემოგარენში, ან საქართველოს რეგიონებში, მაგ. აჭარაში.

– სოციოლოგიის და სოციალური მუშაობის მიმართულების სტუდენტებს პრაქტიკა უტარდებათ სხვადასხვა დაწესებულებებში, მაგალითად, სოციოლოგიური კვლევის ცენტრებში, ძალადობის მსხვერპლთა რეაბილიტაციის ცენტრში, საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრში და ა.შ.

– ფსიქოლოგიის მიმართულებაზე პრაქტიკა ტარდება სხვადასხვა დაწესებულებაში, მაგალითად, სოციალური თერაპიის სახლში, გამოცდების ეროვნულ ცენტრში, სააფთიაქო ქსელ – PSP-ში საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრში და ა.შ.

ფაკულტეტის პროფესორები იყენებენ საველე პრაქტიკის მეთოდებს, კურიკულუმით გაწერილ ძირითად პრაქტიკულ სამუშაოებს სწავლების პროცესს უკავშირებენ, ლექციებზე განიხილავენ პრაქტიკის შედეგებს და ატარებენ პრეზენტაციებს. ასეთი სამუშაოები ხელს უწყობს სტუდენტების პროფესიულ ზრდას.

ფაკულტეტზე ფუნქციონირებს ორი ბიბლიოთეკა (მესამე და მეოთხე კორპუსებში), რომელშიც მოთავსებულია სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურა და სამი რესურს-ცენტრი (მეექვსე, მესამე და მეოთხე კორპუსებში), სადაც ტარდება პრაქტიკული სამუშაოები და სტუდენტებს დამოუკიდებლად შეუძლიათ მუშაობა. სულ ფაკულტეტის რესურს-ცენტრებში გამოყენებაშია 60-მდე კომპიუტერი.

სასწავლო წლის განმავლობაში სტუდენტებს ეძლევათ შანსი მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა კონკურსებში, რომელიც იძლევა ევროპის და ამერიკის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის გაგრძელების საშუალებას.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტები მონაწილეობას იღებენ ევროკავშირის მიერ ჩატარებულ კონფერენციებში, ფორუმებში და ტრენინგებში. ხშირად ფაკულტეტის სტუდენტები თვითონაც ატარებენ სხვადასხვა საერთაშორისო ღონისძიებებს.

ფაკულტეტის სტუდენტები მონაწილეობენ ყოველწლიურ საფაკულტეტო და საუნივერსიტეტო კონფერენციებში, მაგისტრანტები და დოქტორანტები მეცნიერულ შრომებს აქვეყნებენ ფაკულტეტის ახალგაზრდა მეცნიერთა შრომებში.

ბაკალავრიატის წარმატებულ სტუდენტებს საშუალება ეძლევათ მონაწილეობა მიიღონ პრეზიდენტის სახელობის სტიპენდიის მოსაპოვებელ კონკურსში.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ჩაბარების მსურველთა რაოდენობა ყოველ წელს მატულობს, სტუდენტები კი მაღალი მოსწრებით გამოირჩევიან. ჩვენი კვლევების მიხედვით, როგორც წესი, ფაკულტეტზე ჩაბარების დროს აბიტურიენტები არჩევანს აკეთებენ სამი პრინციპის მიხედვით: (1) ფაკულტეტის მიმართულებების მრავალფეროვნება; (2) სწავლების ხარისხი; (3) დასაქმების პერსპექტივა.

# თსუ მედიცინის ფაკულტეტი

***მცირე ისტორიული ცნობები თსუ მედიცინის ფაკულტეტის შესახებ:***

საქართველოში უმაღლესი სამედიცინო განათლების ისტორია დასაბამს 1918 წელს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის დაარსებიდან იღებს. 1919 წლის 9 აპრილს, პროფესორთა საბჭოს გადაწყვეტილებით, სამკურნალო ფაკულტეტი დაარსდა დამოუკიდებელი ფაკულტეტის სახით. ფაკულტეტმა უნივერსიტეტში არსებობა შეწყვიტა 1929/1930 სასწავლო წლის ბოლოს და მის ბაზაზე ჩამოყალიბდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი. 1995 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აღდგა უმაღლესი სამედიცინო განათლება. 2000 წლიდან მედიცინის ფაკულტეტი ფუნქციონირებს როგორც თსუ-ის დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეული.

***თსუ მედიცინის ფაკულტეტის სპეციალობებია:***

ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა „მედიცინა''– დიპლომირებული მედიკოსი; ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა „სტომატოლოგია'' – დიპლომირებული სტომატოლიგი; საბაკალავრო პროგრამა „ოკუპაციური თერაპია'' – ოკუპაციური თერაპიის ბაკალავრი;

თსუ ერთადერთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა საქართველოში, სადაც ოკუპაციური თერაპიის ბაკალავრის სპეციალობის მიღებაა შესაძლებელი.

თსუ მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებს ელის: ევროპული სტანდარტების სასწავლო პროგრამა; სწავლება საერთაშორისოდ აღიარებული და თანამედროვე მეთოდებით; მონაწილეობა სამეცნიერო კვლევებში; მონაწილეობა გაცვლით პროგრამებში; საქართველოს საუკეთესო კლინიკების გამოცდილება და მიღწევები; უცხოელი ექსპერტებისა და მოწვეული პროფესორების საგანმანათლებლო კურსები; ერთობლივი სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტებთან;

აქტიური სტუდენტური ცხოვრება; საქვეყნოდ ცნობილი პროფესურა; ფაკულტეტის სასწავლო-კლინიკური ბაზები.

მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტთათვის საბაზისო დისციპლინების სწავლება მიმდინარეობს უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის შესაბამის დეპარტამენტებში და ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტში. მედიცინის ფაკულტეტის სასწავლო-კლინიკური ბაზები წარმოდგენილია საქართველოს წამყვანი სამედიცინო დაწესებულებებით.

მედიცინის ფაკულტეტი თანამშრომლობს შემდეგ საერთაშორისო ორგანიზაციებთან: მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტი; მიუნხენის ლუდვიგ მაქსიმილიანის უნივერსიტეტის გროსჰადერნის კლინიკა; ხემნიცის საუნივერსიტეტო კლინიკა; მაინცის უნივერსიტეტის სამედიცინო და სტომატოლოგიური ფაკულტეტები; ლუნდის უნივერსიტეტი; ჰაიდელბერგის უნივერსიტეტი; ჯონს ჰოპკინის უნივერსიტეტი; ტრომსოს უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტი;

***ინოვაციები მედიცინის ფაკულტეტზე:***

თსუ მედიცინის ფაკულტეტზე მიმდინარე TEMPUS-ის პროექტის, „სამედიცინო განათლების მოდერნიზაცია ევროკავშირის აღმოსავლეთ სამეზობლო ქვეყნებში-MUMEENA'', მიზანია ევროპული სტანდარტების შესაბამისი დიპლომამდელი სამედიცინო განათლების ახალი მოდელის შემუშავება და დანერგვა, სამედიცინო კურიკულუმის მოდერნიზაცია და განვითარება. პროექტის ფარგლებში მედიცინის ფაკულტეტი თანამშრომლობს სამედიცინო განათლების სფეროში ევროპის წამყვან საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და პროფესურასთან. ჩვენი პარტნიორები არიან: ტრუდი რობერტსი (სამედიცინო განათლების ინსტიტუტის დირექტორი, ლიდსის უნივერსიტეტი, დიდი ბრიტანეთი), ოლე ტენ კატე (უტრეხტის სამედიცინო აკადემიური ცენტრის სამედიცინო განათლებისა და სამეცნიერო კვლევის ცენტრი, ჰოლანდია), ხოსე პეინადო (მედიცინის ფაკულტეტი, გრანადის უნივერსიტეტი, ესპანეთი), ფედერიკა ვოლფი (მედიცინის სკოლა, რომის კათოლიკური უნივერსიტეტი, იტალია), ანა მარია რეიდი (სამედიცინო განათლების ინსტიტუტი,ლიდსის უნივერსიტეტი, დიდი ბრიტანეთი) და სხვა. 2013 წლიდან მედიცინის ფაკულტეტი იწყებს პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ინოვაციების იმპლემენტაციას სასწავლო პროცესში. საბაზისო განათლების ეტაპზე სტუდენტებისათვის განხორციელდება ახალი სასწავლო კურსები: „კლინიკური აზროვნების საფუძვლები'' და „სამეცნიერო კვლევის უნარჩვევები''.

სასწავლო კურსების სწავლების მეთოდოლოგიაზე მუშაობა განხორციელდა მედიცინის ფაკულტეტის ევროპელი პარტნიორების ხელმძღვანელობით. უნდა აღინიშნოს, რომ „კლინიკური აზროვნების საფუძვლების'' კურსის დანერგვა ინოვაციას წარმოადგენს ევროპული სამედიცინო სკოლებისთვისაც. განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამის მოდერნიზაცია უზრუნველყოფს თსუ მედიცინის ფაკულტეტზე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კომპეტენციების მქონე კურდამთავრებულების მომზადებას.

***მედიცინის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა დასაქმება:***

დიპლომირებულ მედიკოსს/სტომატოლოგს – უფლება აქვს სწავლა განაგრძოს მაგისტრატურაში ან/და რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ საგანმანათლებლო პროგრამაზე, ან იმუშაოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვების გათვალისწინებით.

ოკუპაციური თერაპიის ბაკალავრს შეუძლია იმუშაოს: ფიზიკური და ფსიქოსოციალური დახმარების სფეროს ფართო საზღვრებში; ყველა ასაკობრივი ჯგუფის უნარშეზღუდულ ადამიანებთან; იძულებით გადაადგილებულ პირებთან და სხვა მარგინალურ ჯგუფებთან.

თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტზე მოქმედებს მაგისტრატურის და დოქტორანტურის პროგრამები რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომის შემდგომი განათლება (პროფესიული მზადება) – უმაღლესი სამედიცინო განათლების დიპლომისშემდგომი საფეხურია, სასწავლო პროგრამებისა და პრაქტიკული საექიმო საქმიანობის ერთობლიობა, რომელიც მიზნად ისახავს პროფესიულ მზადებას ერთ-ერთ საექიმო სპეციალობაში, სარეზიდენტო პროგრამის დადგენილ ვადაში.

# თსუ ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტი

სტატისტიკური მონაცემების მიხედვით ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტი ლიდერია საქართველოში ყველაზე მაღალრეიტინგული პირველკურსელების რაოდენობის მიხედვით.

ფაკულტეტი გთავაზობთ სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებს.

***ბაკალავრიატი***

ფაკულტეტზე არსებული პროგრამები სახელმწიფო გრანტის პირობები მისაღები კონტიგენტის რაოდენობა

***ეკონომიკის*** – ყველა ჩარიცხული სტუდენტი სრულად დაფინანსდება სახელმწიფოს მიერ – ***400;***

***ბიზნესის ადმინისტრირების*** – დაფინანსებას მიიღებენ მხოლოდ 100% გრანტის მფლობელი სტუდენტები – ***450;***

ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრიატში (ნებისმიერ პროგრამაზე) სწავლის უფლების მოსაპოვებლად აბიტურიენტმა წარმატებით უნდა ჩააბაროს ერთიანი ეროვნული გამოცდები შემდეგ საგნებში: ქართული ენა და ლიტერატურა; უცხო ენა; ზოგადი უნარები; მათემატიკა.

***ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრიატში არსებული სასწავლო პროგრამები და მოდულები:***

***1. ეკონომიკის პროგრამა:***

მოდულები: ეკონომიკური პოლიტიკა; მაკროეკონომიკა; საერთაშორისო ეკონომიკა; მენეჯერული ეკონომიკა; ეკონომეტრიკა და მათემატიკური ეკონომიკა; ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკა; შრომის ეკონომიკა.

***2.ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამა:***

***მოდულები:*** საბუღალტრო აღრიცხვა; მარკეტინგი; მენეჯმენტი; ფინანსები და საბანკო საქმე; ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი; საერთაშორისო ბიზნესი; ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტი.

ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს 240 კრედიტი.

***მაგისტრატურა***

ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის მაგისტრატურაში მიღების წინაპირობები: ბაკალავრის აკადემიური ხარისხი; საერთო სამაგისტრო გამოცდა; გამოცდა სპეციალობაში.

მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს 120 კრედიტი.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მაგისტრატურაში არსებული სასწავლო პროგრამები და მოდულები:

***1. ეკონომიკის პროგრამა:***

***მოდულები:*** საერთაშორისო ეკონომიკა; ეკონომიკური პოლიტიკა და ეკონომიკური დიპლომატია; მაკროეკონომიკა; ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკა; ბიზნესის ეკონომიკა; ეკონომეტრიკა და მათემატიკური ეკონომიკა.

***2. ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამა:***

***მოდულები:*** მენეჯმენტი; ფინანსები და საბანკო საქმე; საბუღალტრო აღრიცხვა; მარკეტინგი; საერთაშორისო ბიზნესი; ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი; საინფორმაციო სისტემების მენეჯმენტი.

***3. ინგლისურენოვანი პროგრამა – ეკონომიკა*** (ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა „ISET")

***4. ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა ორმაგი ხარისხით „საერთაშორისო საწარმოთა მართვა" (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და იენის (გერმანია) ფრიდრიჰ შილერის სახელობის უნივერსიტეტის ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა მაგისტრის ორმაგი (ქართული და გერმანული) ხარისხით. სწავლების ენა ქართული და ინგლისური.***

***დოქტორანტურა***

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურაში მიღების წინაპირობები: მაგისტრის აკადემიური ხარისხი; უცხო ენის გამოცდა / ან მინიმუმ 2 საერთაშორისო დონის დამადასტურებელი სერთიფიკატი; გასაუბრება საფაკულტეტო კომისიასთან;

დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს 180 კრედიტი.

***სადოქტორო პროგრამები:***

ეკონომიკა

ბიზნესის ადმინისტრირება

***საერთაშორისო კავშირები***

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი თანამშრომლობს სხვადასხვა ქვეყნის წამყვან უნივერსიტეტებთან. სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ მონაწილეობა მიიღონ გაცვლით პროგრამებში და მოიპოვონ დაფინანსება ერთობლივი სამეცნიერო კონფერენციების, სემინარების, კვლევების წარმართვის მიმართულებით.

ფაკულტეტი პერიოდულად იწვევს მსოფლიოში სახელგანთქმულ მეცნიერებს და ისინი კითხულობენ ლექცია – სემინარებს ჩვენი სტუდენტებისათვის;

პარტნიორ უნივერსიტეტებთან ერთად ეწყობა ერთობლივი პროექტები მაგისტრანტებისთვის, დოქტორანტებისთვის, უნივერსიტეტის პროფესორმასწავლებლებისთვის;

ეწყობა ერთობლივი სამეცნიერო კონფერენციები და სემინარები.

ფაკულტეტზე მოწვეული პროფესორის სტატუსით ლექციებს კითხულობს ცნობილი გერმანელი მეწარმე, ბავშვთა კვების მსოფლიოში ცნობილი ბრენდის „HIPP"-ის მფლობელი, საქართველოს დიდი მეგობარი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი ბატონი კლაუს ჰიპი. ამავე დროს, ყოველწლიურად, იგი თავად არჩევს 2-3 სტუდენტს და სრული დაფინანსების პირობებში იწვევს გერმანიაში, საკუთარ საწარმოში, საზაფხულო პრაქტიკის გასავლელად.

ფაკულტეტზე არსებობს ეკონომიკური პოლიტიკის ქართულ-გერმანული ინსტიტუტი, რომელიც ბერლინის ტექნიკური უნივერსიტეტის ხელშეწყობით და გერმანიის აკადემიური ურთიერთგაცვლის სამსახურის DAAD-ის ფინანსური დახმარებით რეგულარულად უწევს ორგანიზებას ეკონომიკური პოლიტიკის ფორუმს „თბილისის ბალკონი", რომელშიც მონაწილეობას იღებენ გერმანიის, საქართველოს და სხვა ქვეყნების გამოჩენილი მეცნიერები და პრაქტიკოსი სპეციალისტები.

ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტი პერიოდულად ორგანიზებას უწევს სხვადასხვა სახის (მათ შორის საერთაშორისო) კონკურსებს, ბიზნეს ოლიმპიადებსა თუ სტუდენტურ კონფერენციებს. ასევე ჩვენი სტუდენტები ხშირად მონაწილეობენ საქართველოს თუ საერთაშორისო მაშტაბით გამართულ მსგავს ღონისძიებებში (ხშირ შემთხვევაში თსუ დაფინანსებით) საიდანაც ისინი – როგორც წესი – გამარჯვებულები ბრუნდებიან.

***დასაქმება***

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი მაქსიმალურად ცდილობს ხელი შეუწყოს სტუდენტთა სტაჟირებას და თეორიული ცოდნის პრაქტიკულით გამყარებას. ამ მიზნით იგი სხვადასხვა კერძო საწარმოებსა თუ სახელმწიფო სტრუქტურებთან დებს ხელშეკრულებებს და აფორმებს მემორანდუმებს.

ფაკულტეტის კურსდამთავრებულებს შესაძლებლობა აქვთ დასაქმდნენ სახელმწიფო უწყებებში, კომერციულ სტრუქტურებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში, სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებებში, საერთაშორისო ორგანიზაციებში.

მისამართი: თსუ მე-10 (მაღლივი) კორპუსი, უნივერსიტეტის ქ. №2,

ტელეფონი: 2 30 41 63 ან 2 30 36 71

ვებ-გვერდი:

www.tsu.edu.ge/faculties/economics

# თსუ ტურიზმის საერთაშორისო სკოლა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის საერთაშორისო სკოლის მისია მდგომარეობს სტუდენტთათვის ისეთი აკადემიური შესაძლებლობისა და სასწავლო პროგრამების შეთავაზებაში, რომლებიც პასუხობენ ტურიზმისა და მასპინძლობის ინდუსტრიისა და საზოგადოების მოთხოვნებს და აყალიბებენ ნათლად მოაზროვნე, სექტორში ლიდერობისა და წარმატებული კარიერისათვის მომზადებულ პროდუქტიულ პროფესიონალებს.

ტურიზმის საერთაშორისო სკოლას გააჩნია სტრატეგიული მიდგომა სტუდენტისადმი და სურს, რომ შექმნას ისეთი გარემო, რომელშიც სხვადასხვა აკადემიურ პროგრამაში ჩართული ყველა სტუდენტი უზრუნველყოფილი იქნება:

თანამედროვე ინფრასტრუქტურითა და მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობით, რათა ისინი გარანტირებულ იყვნენ სწავლის კომფორტული პირობებით;

სტუდენტზე ორიენტირებული

გარემოცვით, რომელშიც თითოეულ ინდივიდუმს შეექმნება პირობები წარმატებისათვის;

უახლესი პედაგოგიური სისტემით, რომელშიც ადექვატურადაა კომბინირებული მაღალი დონის კურიკულუმი და შესაბამისი სწავლების მეთოდოლოგია;

მენეჯმენტის მოდელით, რომელიც სკოლის მისიისა და ამოცანების წარმატებით შესრულების საშუალებას იძლევა, შესაბამისი ფუნქციების ეფექტიანი განხორციელების მეშვეობით.

ტურიზმის საერთაშორისო სკოლაში ამჟამად ფუნქციონირებს ერთი პროგრამა – საბაკალავრო პროგრამა ტურიზმი.

***საბაკალავრო პროგრამა ტურიზმი***

მისანიჭებელი კვალიფიკაცია – ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში (BBA in Tourism). პროგრამის მოცულობა კრედიტებით - 240 ECTS კრედიტი, საიდანაც დამატებითი სპეციალობის პროგრამისათვის გათვალისწინებულია 60 ECTS კრედიტი. დასაშვებია ნებისმიერი დამატებითი სპეციალობის შერჩევა, ან შესაძლებელია ამავე მოცულობის თავისუფალი კრედიტების ათვისება.

პროგრამის ღირებულებაა - 9000 ლარი (სემესტრში 1125 ლარი).

ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა წარმოადგენს ტურიზმის სპეციალისტების მომზადებისა და საშუალო დონის მენეჯერული კომპეტენციების განვითარება-გაღრმავებაზე ორიენტირებულ უნიკალურ ინტერდისციპლინურ პროგრამას, რომელშიც გარდა ეკონომიკური, ბიზნესისა და ტურიზმის პროფილის კურსებისა ისწავლება ისეთი კურსები, როგორებიცაა: მსოფლიო ხელოვნების ისტორია, საქართველოს საზოგადოებრივი გეოგრაფია, ფსიქოლოგია, სოციოლოგია და ა.შ. იგი ითვალისწინებს ორი განსხვავებული, არჩევითი მოდულით სწავლებას – „ტურიზმის მენეჯმენტი“ და „სასტუმროს მენეჯმენტი“. პროგრამა ფოკუსირებულია მენეჯერული პრობლემების მოგვარების და შემოქმედებითი უნარების განვითარებაზე, რაც მოეთხოვება ტურიზმისა და მასპინძლობის თანამედროვე სპეციალისტებს.

ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრებს ტურიზმში შეუძლიათ დასაქმდნენ: სპეციალიზებულ ტურ–ოპერატორ კომპანიებში, კურორტის მენეჯმენტის კომპანიებში, კონვენციებისა და ვიზიტორთა ბიუროს მენეჯერის, საჯარო სექტორისა და ეროვნული ტურიზმის ორგანიზაციებში, სასტუმრო ქსელებში – საკვებისა და სასმელის მენეჯერის, საკონვენციო მენეჯერის, გაყიდვებისა და მარკეტინგის მენეჯერის, ფრონტ-დესკის მენეჯერის, ოთახების განხრის მენეჯერის და სხვა პოზიციებზე.

ხარისხის მქონე ბაკალავრებს ტურიზმში შეუძლიათ დადგენილი წესით გააგრძელონ სწავლა მაგისტრის კვალიფიკაციის მოსაპოვებლად, როგორც ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტში, ასევე, სხვა ბიზნეს სპეციალობებზე.

ამასთან, მუდმივად მიმდინარეობს აკადემიური პროგრამის ხარისხის სრულყოფა, სახელმძღვანელოების განახლება და სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვა.



*თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სასწავლო სტუდია. VI კორპუსი*




*თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი. სასწავლო ჟურნალები და გაზეთები*



*თსუ ბიბლიოთეკა. შოთა რუსთაველის სახელობის სამკითხველო დარბაზი*



*ამერიკელი პროფესორი როჯერ რიტვო ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტებთან და დეკანთან ერთად*

# „მე – უნივერსიტეტი“

***ნანა ალექსანდრია, მოჭადრაკე***

– ეს იყო ძირითადად ცოდნა, საკუთრი მაგალითები, რომელზეც გავიზარდეთ.

***დავით ლორთქიფანიძე, საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორი***

– საერთოდ, უნივერსიტეტის გარემო ყველაზე საინტერესო გარემო იყო, არა მხოლოდ აუდიტორიაში, არამედ ბაღშიც, მის ირგვლივ. ასე, რომ უნივერსიტეტი ერთ-ერთი განსაკუთრებული ადგილია ჩემს ცხოვრებაში.

***გიგი უგულავა, თბილისის მერი***

– მახსოვს, პრაქტიკულად, არ იყო შუქი, არც გათბობა, გაყინულ დარბაზებში და ოთახებში გვიწევდა ლექციების მოსმენა, მაგრამ რაღაც სხვანაირი მუხტი იყო. მიუხედავად იმისა, რომ გარშემო მთელი ქვეყანა იყო დეპრესიაში, უნივერსიტეტი სხვა ენერგეტიკას ასხივებდა და ანათებდა.

***ანა კორძაია-სამადაშვილი, მწერალი***

– ყველა წელი, რომელიც უნივერსიტეტში გავატარე ბედნიერი იყო, მერე იყო ხანგრძლივი წყვეტა და მერე კვლავ აღმოვჩნდი უნივერსიტეტში. და ისევ ბედნიერი ვარ. იცით რა მაგარია? უნივერსიტეტი წარმოუდგენელი რამაა.

***ვანო ჯავახიშვილი, სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის ტელეწამყვანი***

– რა თქმა უნდა, რომ რა უნივერსიტეტი, ვერ ვიქნებოდი იქ სადაც ვარ. და რომ არა უნივერსიტეტის წინ სახაჭაპურე... ეს იყო ჩვენი გართობის შემადგენელი ნაწილი.

***სოფო მოსიძე, ჟურნალ „ეპიზოდი“-ის რედაქტორი***

– უნივერსიტეტი ჩემი სასწავლო წლის პირველ გაზაფხულზე შემიყვარდა, როდესაც სტუდენტობა ვიკრიბებოდით უნივერსიტეტის ბაღში. შემდეგ შემიყვარდა, როდესაც წარმატებით პირველი გამოცდები ჩავაბარე. მე ჯერ კიდევ იმ თაობას ვეკუთვნი, რომლისთვისაც უნივერსიტეტში სწავლა და მისი კურსდამთვრებულობა ძალიან დიდი პატივია, აქედან გამომდინარე, ჩემთვის ეს სტატუსი ძალიან ბევრს ნიშნავს.

***ვახტანგ ლიჩელი, თსუ პროფესორი***

– ექსპედიციას აქვს თავისი სპეციფიკა, რაც გულისხმობს იმას, რომ ჩვენ ლექტორები და სტუდენტები საველე პირობებში ერთად ვცხოვრობთ. ერთად ვიკვლევთ, ერთად ვაწარმოებთ გათხრებს და მერე ერთად ვცდილობთ ავხსნათ ესა თუ ის მოვლენა. სწორედ აქ ყალიბდება სრულიად განსაკუთრებული ურთიერთობა ლექტორსა და სტუდენტს შორის და ეს ურთიერთობა ყოველთვის არის აღბეჭდილი ერთმანეთისადმი განსაკუთრებული პატივისცემისა და პასუხისმგებლობის ორმხრივი გრძნობით. რუსთაველში ჩახედვა, ისე როგორც მკვლევარმა უნდა ჩახედოს, როგორც უნდა დაინახოს ინტელექტუალმა, მხოლოდ უნივერსიტეტის შეუძლია. ვამაყობ, რომ ვარ უნივერსიტეტელი და ვფიქრობ, ბევრი ამით ბევრი ამაყობს.

***ავთო აბაშიშვილი, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტი***

– თსუ არის გამორჩეული დამოკიდებულება სტუდენტსა და ლექტორს შორის, რაც ჩვენ გამოგვარჩიოს სხვა წამყვანი უნივერსიტეტებისგან. ვფიქრობ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იმიტომ არის ერთ-ერთი კარგი უნივერსიტეტი მთელს მსოფლიოში.

***რისმაგ გორდეზიანი, თსუ პროფესორი***

– შეიძლება ითქვას, რომ უნივერსიტეტისადმი მითოლოგიური დამოკიდებულებაც კი მაქვს. ჩემთვის უნივერსიტეტი არის რაღაც ცოცხალი, რომელსაც როცა ვიღაც შეურაცხყოფას აყენებს, როცა ვიღაც ხელყოფს მის უფლებებს, ისევე მტკივა, როგორც ეტკინება ცოცხალ ადამიანს.

***კახა ბენდუქიძე, „თავისუფალი უნივერსიტეტის“ დამფუძნებელი***

– აქ განათლება მივიღე, ჩემი ინტერესები ჩამოყალიბდა. შევიძინე ჩემი სამეგობრო წრე, დღეს ვინც ჩემი ძალიან ახლო მეგობრები, კურსელები არიან. ძალიან დიდი როლი ითამაშა უნივერსიტეტმა.

***ელგუჯა ხინთიბიძე, თსუ პროფესორი***

– უნივერსიტეტი არის, ფაქტობრივად, ახალი საქართველო. ყველაზე დიდი სახე, რომელიც საქართველომ წარმოაჩინა მე-20 და 21-ე საუკუნეში ეს არის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

***ზაალ სამადაშვილი, თბილისის საკრებულოს თვმჯდომარე***

– მთავარი უნივერსიტეტი ყოველთვის იქნება თბილსის სახელმწიფო უნივერსიტეტი. როდესაც ვამბობ უნივერსიტეტს, ყოველთვის ჩემს სათაყვანებელ უმაღლეს სასწავლებელს ვგულისხმობ. მე უნივერსიტეტელი ვარ, იარე ჩემთან ერთად.

95

იარე ჩვენთან ერთად

# კარსტული მღვიმე – „თსუ 95“

***პირველი გვერდიდან***

ჩასასვლელი გზა გაიწმინდება, რადგან ამ ეტაპზე კიდევ უფრო ქვემოთ დაშვებას თიხის საშუალებით შექმნილი ერთგვარი საცობი უშლის ხელს". აცხადებს გიორგი დვალაშვილი. გეოგრაფის ვარაუდით ეს საკამოდ რთული და შრომატევადი საქმეა, რომელიც რაც შეიძლება მეტი სტუდენტის დახმარებას მოითხოვს. მისივე შეფასებით, ზოგადად საკმაოდ ბევრი სამუშაოა ჩასატარებელი. გასაფართოებელია ასევე მღვიმეში შესასვლელიც.

„საერთოდ, როგორც ამ დროისთვის ჩანს, 30000 წლის წინ ამ მღვიმეში იმდენად კარგი პირობები უნდა ყოფილიყო, ზედა სართულებზე სიმშრალე და ქვედა სართულებზე წყალი, რომ აქ ტომის ბელადსაც კი შეიძლებოდა ეცხოვრა." – ხუმრობენ გეოგრაფები. როგორც ისინი აღნიშნავენ, მღვიმე საინტერესოა თავის მდებარეობიდან გამომდინარეც. მართალია, აქ ეკოლოგიური დაბინძურების თვალსაზრისით შესაძლოა ისეთი პრობლემები გაჩნდეს, რაც არადასახლებულ ადგილას მდებარე მღვიმეებს



არ აქვთ. მაგალითად, მღვიმის არადანიშნულებისამებრ (სოკოს სათბურად ან ნაგავსაყრელად) გამოყენება. მღვიმე საკმაოდ ახლოს მდებარობს ჭიათურა-ითხვისის საბაგიროსთან, რაც გარდა იმისა რომ საკმაოდ ეგზოტიკურია, ტურიზმის განვითარების თვალსაზრისითაც არის საინტერესო. მით უმეტეს, რომ გეოგრაფების ვარაუდით, მღვიმეს კავშირი აქვს მახლობლად მდებარე გამოქვაბულთანაც, სადაც ცოტა ხნის წინ 1971 წელს დატოვებული ექსპედიციის წერილიც იპოვეს, რომელსაც ამ დღეებში შეისწავლიან.

გარდა ამისა, რომ დაინტერესებული სტუდენტებისთვის ლექციების ჩატარებას გიორგი დვალაშვილი „თსუ-95“-ში ვარაუდობს, ახალი სახელმძღვანელოს „კარსტოლოგიის" პრეზენტაციაც ამ მღვიმეში იგეგმება.

სახელმძღვანელოში, რომლის ავტორიც გიორგი დვალაშვილთან ერთად თსუ ვახუშტი ბაგრატიონის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელი, სპელოლოგი კუკური წიქარიშვილი საქართველოში არსებული 1300-მდე მღვიმის შესახებ არის საუბარი. მათ შორის არის უკვე თსუ-95".

# კულტურა და სპორტი უნივერსიტეტში







ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ყოველთვის გამოირჩეოდა აქტიური კულტურული და სპორტული ცხოვრებით. აქ სტუდენტებს ყოველთვის ჰქონდათ საკუთარი ნიჭის გამოვლენისა და რეალიზაციის საშუალება. ამ მხრივ გამონაკლისი არც 2012 წელი გახლდათ.

* * *

უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ არა მხოლოდ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის, არამედ მთელი საქართველოსთვის მუსიკალური ბენდი „თსუ-არტი" ერთგვარად გასული წლის აღმოჩენა გახდა. ბენდმა პოპულარობა ტელე-პროექტ "ნიჭიერის" საშუალებით მოიპოვა. 6 წევრისაგან დაკომპლექტებულმა მუსიკალურმა ბენდმა საზოგადოებას თავი ძირითადად საკუთარი ხელებით შექმნილი და მოდიფიცირებული მუსიკალური საკრავების საშუალებით შესრულებული კომპოზიციებით დაამახსოვრა. მისი თითოეული წევრი ერთდროულად რამდენიმე ინსტრუმენტზე უკრავს. ბიჭებმა ერთმანეთი საერთო სამეგობროში "აღმოაჩინეს". ბენდის წევრები ძირითადად ექსპერიმენტული სახის (ელექტრონულ-ინსტრუმენტალური სტილის) მუსიკას ასრულებენ. 2011 წლის იანვარი-თებერვლის პერიოდში პირველად გამართული ცოცხალი კონცერტის შემდეგ ბენდი დღეისათვის სისტემატურად მართავს კონცერტებს მთელი საქართველოს მასშტაბით.

* * *

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა "უნივერსიტეტი" 2012 წლის იტალიაში, ქალაქ აგრიჯენტოში, გამართულ საერთაშორისო ფოლკლორული ფესტივალის გრანპრის მფლობელი გახდა. ეს ჯილდო ერთ-ერთია იმ მიღწევათაგან, რომელიც ანსამბლს მოღვაწეობის განმავლობაში დაუგროვდა.

ანსამბლი 35 წევრისგან, ძირითადად თსუ სტუდენტებისა ან მისი კურსდამთავრებულებისგან შედგება. ყოველწლიურად მოცეკვავეთა კონტიგენტის გადახალისებლად აქ მკაცრი კონკურსი ტარდება. ამ სახელით ქორეოგრაფიული ანსამბლი 1934 წლიდან არსებობს. სხვადასხვა დროს მისი ხელმძღვანელები ისეთი გამოჩენილი ქორეოგრაფები იყვნენ, როგორებიც არიან ჯანო ბაგრატიონი, ბუხუტი დარახველიძე და აშ. დღეს ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელი თენგიზ ყურაშვილია, მთავარი ქორეოგრაფი – დავით კიკვაძე.

* * *

გოგონათა ანსამბლი „თსუ-გორდელა" უკვე 5 წლისაა. გოგონები ყველა საუნივერსიტეტო კონცერტის მონაწილეები არიან. თუმცა უნივერსიტეტის მიღმაც მათ უკვე კარგად იცნობენ. 2012 წლის სექტემბერში ანსამბლი ქართული სათვისტომოს ოფიციალური მიწვევით საფრანგეთში იმყოფებოდა. "თსუ გორდელამ" ქართული სათვისტომოს დაარსების 90 წლისა და 1924 წლის აჯანყებისასდმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა.

„თსუ-გორდელა" ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2007 წელს ჩამოყალიბდა. მასში თსუ სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტი გოგონები არიან გაერთიანებული. ანსამბლის მიერ შესრულებული ქართული ტრადიციული მუსიკა არანჟირებულია ანსამბლის ხელმძღვანელის, თამაზ მამალაძის მიერ. „გორდელას" წევრები ასრულებენ მრავალხმიან ხალხურ სიმღერებს, წევრი გოგონები ერთდროულად რამდენიმე უძველეს ხალხურ საკრავზე უკრავენ.

* * *

2012 წელი თსუ თეატრისთვის "სხვენი" წარმატებული პრემიერის წლად იქცა. სტუდენტურმა თეატრმა გასულ წელს წარმოადგინა პრემიერა გ.კაჭარავას პიესაზე "განკითხვის დღე".

პლასტიკის თეატრი თსუ-ში 2000 წლის 15 სექტემბერს რეჟისორების – გიორგი გომურაშვილის, მამუკა გურჩიანისა და სამხატვრო ხელმძღვანელის – თენგიზ ყურაშვილის ინიციატივით დაარსდა. თსუ სააქტო დარბაზის სხვენი კულტურის ცენტრის ხელშეწყობითა და მსახიობების ძალისხმევით იქნა გარემონტებული. სახელწოდებაც ადგილმდებარეობის მიხედვით შეირჩა.

სტუდენტთა თეატრი სპექტაკლებს თსუ პირველი კორპუსის დარბაზში მართავს. ასევე მონაწილეობს სხვადასხვა კულტურულ და საქველმოქმედო ღონისძიებაშიც.

* * *

იუმორში შეჯიბრს უნივერსიტეტში საკმაოდ დიდი ტრადიცია აქვს. უნივერსიტეტში წლებია არსებობდა მხიარულთა და საზრიანთა კლუბი, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა XX საუკუნის 60-იან წლებში. გასული საუკუნის 90-იანების იუმორისტები კი დღეისთვის ყველასთვის კარგად ცნობილი დავით გოგიჩაიშვილი, ალეკო მალხაზიშვილი, ვანო ჯავახიშვილი და სხვა სახეები არიან., 2005 წელს მან–სან–კან – მა შეწყვიტა არსებობა და კვლავ აღსდგა 2008 წელს სტუდენტური თვითმმართველობის ძალისხმევით. 2012 წლიდან კი თსუ ფაკულტეტების იუმორისტული გუნდები ერთმანეთს უკვე ახალ პროექტში – "თსუ იუმორის თასის" მოპოვებაში ეჯიბრებიან.

* * *

თსუ-ში ყოველწლიურად ტარდება სტუდენტური დღეები. ამ პროექტის მეშვეობით სტუდენტებს ეძლევათ საკუთარი ნიჭის გამოვლენისა და თვითრეალიზაციის საშუალება კულტურის სფეროს სხვადასხვა მიმართულებებში.

საგაზაფხულო სტუდენტური დღეები უახლოეს პერიოდში იწყება, მანამდე კი გასული წლის გამარჯვებულების შესახებ – მონაწილეები კომპეტენტურმა ჟიურიმ შეაფასა შემდეგ ნომინაციებში:

1. ჟიურის სიმპათია – ანა კანდელაკი
2. დარბაზის სიმპათია – ბენდი Strolling Tones
3. ორიგინალური მონაწილე – უსახელო პოეტები
4. თანამედროვე სიმღერა (სოლო შესრულება) – სოფო ქუბრიაშვილი
5. თანამედროვე სიმღერა (გუნდი, ბენდი) – ბენდი "მეოცნებე"
6. თანამედროვე ცეკვა – ჯგუფი Funky Girls
7. მხატვრული კითხვა – ლაშა – გიორგი ადვაძე
8. საუკეთესო ფაკულტეტი – იურიდიული ფაკულტეტი
9. გრან-პრი – ბენდი Evergreen

* * *

თსუ ყოველთვის ამაყობდა ვაჟთა ვოკალური ანსამბლებით. მცირეხნიანი პაუზის შემდეგ ტრადიცია ისევ გრძელდება – ვაჟთა ვოკალური ანსამბლი "უნივერსიტეტი" ახალი შემადგენლობით 2012 წლის სექტემბერში შეიკრიბა. ანსამბლში ამჟამად 13 სტუდენტი მოღვაწეობს. მათი ხელმძღვანელია ვასილ დოლიძე. რეპერტუარშია ქართული ხალხური და საესტრადო სიმღერები. ანსამბლი ახლა იკრებს ახალ ძალას, მზადაა გაფართოებისთვის და თანამოაზრეთა შემოკრებისთვისაც.

ბიჭებმა უკვე მიიღეს მონაწილეობა თსუ ეგიდით გამართულ კულტურულ ღონისძიებებში, მათ შორის უნივერსიტეტის 95 წლის იუბილეს აღნიშვნაში. 2013 წელს კი „უნივერსიტეტი მაყურებელთა წინაში სოლო კონცერტით წარსდგომას გეგმავს.

---

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სპორტის განვითარებას განსაკუთრებული ყურადღება რომ ექცევა, ამას უნივერსიტეტელების მიერ უახლოეს წარსულში წინ მიღწეული შედეგებიც მოწმობს. მათ შორისაა:

* * *

2012 წლის 22 დეკემბერს, გაიმართა საქართველოს ღია ჩემპიონატი, სადაც მონაწილეობას იღებდა თსუ გუნდი, რომლის მთავარი კონკურენტი იყო ირანის ეროვნული ნაკრები. თსუ გუნდმა 10 ოქროთი, 11 ვერცხლით და 2 ბრინჯაოთი პირველი გუნდური ადგილი დაიკავა.

პარალელურად ქ. თელავში გაიმართა თასის გათამაშება ათლეტიზმში 20 წლამდე ასაკის ჭაბუკებში, სადაც თსუ-ს გუნდმა 3 ოქრო, 4 ვერცლი და 2 ბრინჯაო მოიპოვა.

* * *

2012 წელს გამართულ წოლჭიმში თბილისის საერთაშორისო ტურნირში თსუ გუნდმა წარმატებით იასპარეზა. თსუ სპორტსმენებმა 20 წლამდე ასაკის მონაწილეებში 5 ოქროს და 1 ვერცხლის მედალი მოიპოვეს; 23 წლამდე ასაკის სპორტსმენებში – 2 ოქრო, 2 ვერცხლი და 3 ბრინჯაო; იმავე ჩემპიონატზე ღია პირველობაში თსუ-ს "ბალანსზე" 4 ოქრო აღმოჩნდა. უნივერსიტეტელებმა "ამოწევაში" – 20 და 23 წლამდელებში თითო-თითო ოქროს მედალი მოიპოვეს. ღია პირველობაზე ბიცეფსით წონის აწევაში – 1 ვერცხლი. სულ საერთო ჯამში – 13 ოქრო, 4 ვერცხლი და 2 ბრინჯაო.

* * *

წარმატებული იყო გასული წელი თსუ ფუტსალის გუნდის წევრებისთვისაც. 2012 წელს თსუ გუნდმა III ადგილი დაიკავა ესპანეთში, ქალაქ კორდობაში გამართულ ევროპის უნივერსიადაზე. 2011-2012 წლის ჩემპიონატზე კი გუნდმა პირველი ადგილი დაიკავა და საქართველოს თასის მფლობელი გახდა. თსუ ფუტსალის გუნდი ბენდელას თასის მფლობელიცაა. გუნდმა 2013 წლის გაზაფხულიდან ახალი წევრების აყვანის შესახებაც გამოაცხადა, რაც ნიჭიერ სტუდენტებს სპორტის ამ სახეობაში ჩართვის ახალ შესაძლებლობების მისცემს.

* * *

2013 წლის 4 და 5 თებერვალს, საქართველოს უნივერსიტეტში ჩატარდა საქართველოს ზამთრის ჩემპიონატი მშვილდოსნობაში, სადაც გიორგი პოპიაშვილმა (ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი) II ადგილი დაიკავა, ხოლო 20 წლამდელებში ლევან ჩიტიშვილი (იურიდიული ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი) III ადგილზე გავიდა, მოხვდა ნაკრებში და 24 თებერვალს მიემგზავრება ევროპის ჩემპიონატზე მშვილდოსნობაში.

მშვილდოსნებისთვის წარმატებული იყო გასული წელიც.

გასული წლის თბილისის ჩემპიონატში მშვილდოსნობაში თსუ წარმოამდგენელმა დავით ჭელიძემ მე-3 ადგილი დაიკავა. 25-26 თებერვალს ქ. დუშეთში გამართულ საქართველოს ზამთრის ჩემპიონატზე კი თსუ წარმოამდგენლებმა პირველი (დათო ჭელიძე) და მეორე (გიორგი პოპიაშვილმა) ადგილების მოპოვება შეძლეს.

თბილისის ზამთრის ჩემპიონატში მონაწილეობისას თსუ სპორტსმენმა მე-3 ადგილი დაიკავა. 26-27 მაისს ლოკომოტივის სტადიონზე გაიმართულ თბილისის გუნდურ ჩემპიონატზე, თსუ სპორტსმენთა გუნდმა 1-ლი ადგილი დაიკავა. 24-25 დეკემბერს ქ. ბათუმში გაიმართულ აჭარის ღია ჩემპიონატზე, უნივერსიტეტელმა ლევან ჩიტიშვილმა მეორე დაიკავა.

* * *

2013 წლის 9 თებერვალს სპორტის სასახლეში გაიმართა სტუდენტური დერბი თსუ-სა და სტუ-ს გუნდებს შორის, რომელიც დასრულდა თსუ-ს გამარჯვებით 88:74, სადაც თსუ-ს კალათბურთელმა სერჟი ასელაინმა 21 მოხსნა და 32 ქულა მოაგროვა და გახდა ტურის საუკეთესო კალათბურთელი. გარდა ამისა, გივი ბაქრაძემ 10 პასი გააკეთა, რითიც გახდა ტურის ლიდერი პასებში.







გაზეთი მომზადდა თსუ საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ. საკონტაქტო ინფორმაცია – ტელ: 2 22 23 91; ელ.ფოსტა: tsupr@tsu.ge; ვებ-გვერდი: www.tsu.edu.ge